ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ორშაბათი, 29 ივნისი, 2020 | №138 (8402) | ფასი: 60 თეთრი

## „გიგა ტატიაშვილი შოკირებულია, რომ დააკავეს, შაქარაშვილი ვინაა, არ იცის, 2 მეტრიანი 140 კილო კაცი სრულ კოლაფსშია“ გვ.5



# „გიორგი შაქარაშვილი გაექცა მოძალადეებს, რომლებმაც გურამ ამირხანაშვილს აღუკვეთეს თავისუფლება“

გვ.5



საქმეზე დაკავებულ 17-ე პირს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა



## „გახარია ერთ-ერთი უარყოფითი პერსონაჟია ქართულ პოლიტიკაში“

არჩილ გამზარდია: „კალაძე ოპოზიციაში, შეიძლება, ეს გაცილებით ეფექტური იყოს, ვიდრე კალაძე ხელისუფლებაში“

გვ.3



## სალომე სამადაშვილი: „გახარია აგდებულად იმიტომ გველაპარაკებოდა, რომ პასუხები არ ჰქონდა“

გვ.2



„ოცნებაზეა“ დამოკიდებული, გაამკაცრებს თუ შეარბილებს დამოკიდებულებას ამერიკის სენატი“

გვ.5



## ვლადიმერ ბორცვაძე: „თუ დადასტურდება რაიმე სახის გადაცდომა ან იძულებების ფაქტი სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან, ამ ქმედებას მიეცემა შესაბამისი შეფასება“

## გიორგი მშვენიერაძე: „სუს-ში დაბარებებს შეიძლება საზოგადოებაში მსუსხავი ეფექტი ჰქონდეს“

გვ.3



გვ.4



## „ოპოზიცია ამ არჩევნებს თუ წააგებს, მას პოლიტიკიდან წასვლა მოუწევს“

სოსო ცინცაძე: „მე ვერ ვიხსენებ შემთხვევას, როდესაც არჩევნებამდე 5 თვით ადრე ელჩი გენერალურ პროკურორს შეხვედროდეს და ეთქვას, არჩევნები სამართლიანად უნდა ჩატარდეს“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 საქართველო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების შეფასების უმაღლეს საფეხურზეა

2 აშშ საქართველოსთან თანამშრომლობას იმ შემთხვევაში გააგრძელებს, თუ ქვეყანა პირობებს დაიცავს

4 „ჩემმა შვილმა შაქარაშვილის სურათზე იტირა, ჩვენ გამო ეს ბიჭი რატომ მოკვდაო“

6 ბარსელონაში კოვიდ 19-ის კვალი 1 წლისა და 3 თვის წინანდელ წყლის ნიმუშებში იპოვეს

# აშშ საქართველოსთან თანამშრომლობას იმ შემთხვევაში გააგრძელებს, თუ ქვეყანა პირობებს დაიცავს

## სენატორ ჯეიმს რიშის მორიგი გაფრთხილება

აშშ-ის ეროვნული თავდაცვის აქტის შესწორების მიხედვით, საქართველოსთან თანამშრომლობა იმ შემთხვევაში გაგრძელდება, თუ ქვეყანა პირობებს დაიცავს.

ცვლილება სენატის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარეს, ჯეიმს რიშს ეკუთვნის.

რიშის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ირაკლი ოქრუაშვილი და გიგი უგულავა შეიწყალა, თუმცა გიორგი რურუა კვლავ საპატიმროში რჩება.

– აშშ-ის სენატი კვლავ გამოხატავს სურვილს, გაგრძელდეს აშშ-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობა მმართველობის და ეკონომიკის რეფორმებზე, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე და გაღრმავდეს თანამშრომლობა საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიმართულებით, – ნათქვამია განცხადებაში.

აშშ-ის სენატი საქართველოს მთავრობასა და პოლიტიკურ ლიდერებს მოუწოდებს, უარი თქვან ძალაუფლების ცდუნებაზე და პროცესები უფრო გამჭვირვალე გახადონ, რაც მოსამართლეების დანიშვნის წესსა და მოსამართლეების მმართველი პოლიტიკური პარტიისადმი ლოიალურობასაც გულისხმობს.

აშშ-ის სენატი კიდევ ერთხელ მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, ხელი შეუწყოს 2020 წლის ოქტომბრის არჩევნების სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარებას.

❖ ❖ ❖

– ინიცირება ცვლილებას არ ნიშნავს, დარწმუნებული ვარ, ეს ინიცირება შესაბამის გადაწყვეტილებაში ასახვას ვერ ჰპოვებს.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, მამუკა მდინარაძემ აშშ-ის თავდაცვის აქტის შესწორების თაობაზე განაცხადა.

მისი თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ შეთანხმების ყველა პირობა შეასრულა და საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესი ორშაბათს დასრულდება.

– ინიცირება ცვლილებას არ ნიშნავს. შეუძლია, ნებისმიერ დეპუტატს, მაგალითად, ადა მარშანიას, ან მე, ან ნებისმიერ ჩვენგანს დავაინიციროთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ცვლილება შევიდა. ეს არის ერთი ჩვენი კოლეგის, სხვათა



შორის, პატივსაცემი კოლეგის მოსაზრება და ეს გამოიხატა ინიცირებაში, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ეს ინიცირება შესაბამის გადაწყვეტილებაში ასახვას ვერ ჰპოვებს, რადგან ამის სხვადასხვა მიზეზი არსებობს. ეს შეიძლება იყოს ხოლმე, როგორც ხშირად ხდება ამ ბოლო დროს ცალკეულ შემთხვევებში არასწორი ინფორმაცია, ვილაცის სუბიექტური დამოკიდებულება, როგორც ნახეთ ერთ შემთხვევაში კონგრესმენის განცხადება, რომ იყო სტაფერის შედგენილი, შეიძლება უბრალოდ, საკანონმდებლო პროცედურები არ იძლეოდეს შესაძლებლობას, რომ ასე სწრაფ დროში მსგავსი ინიცირება ასახული იყოს გადაწყვეტილებაში. ჩვენ ორშაბათს უკვე პროცესს დავასრულებთ. ყველა პირობა შევასრულეთ, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

მისივე თქმით, შეთანხმებასთან დაკავშირებით მკაფიო განცხადება გააკეთა გერმანიის ელჩმა, ხოლო ჯიმ რიშის საწინააღმდეგო პოზიცია სამწუხაროა.

– გერმანიის ელჩმა გააკეთა უფრო მკაფიო განმარტება, ვიდრე წინა შემთხვევაში მან და მისმა კოლეგებმა გააკეთეს. ეს იყო ერთადერთი რამით გამოწვეული, ვერ გააგებინეს უბრალოდ, ჩვენს ოპოზიციონერ კოლეგებს, რა უნდა ქნან. მოწოდებით, ზოგადი მინიშნებით ვერ გააგებინეს და თქვეს, რომ მხარი უნდა დაუჭიროთ.

წინა შემთხვევაში კარლ ჰარცელმა დაუთვალა 142 ხმა, მაინც ვერ გაიგეს და დღეს თქვა უკვე გერმანიის ელჩმა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, საუბარი არ ყოფილა და საერთოდ საუბარი არ ყოფილა, ჩანაწერში შავით თეთრზე წერია, რომ პოლიტპატიმრებზე და გიორგი რურუაზე საუბარი არ არის. რადგან ეს ვერ გაიგეს, ელჩი იძულებული გახდა, პირდაპირ მიეთითებინა. ამის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების სურვილს რომ ვხედავთ ჩვენი საპატივცემულო კოლეგის მხრიდან, ეს სამწუხაროა, ამის მიზეზებს ნულა ჩავუყვებით, წინასწარ გეუბნებით, ეს გადაწყვეტილებაში ასახვას ვერ ჰპოვებს, – აღნიშნა მდინარაძემ.

❖ ❖ ❖

კომენტარი უშიშროების საბჭოს მდივნის ყოფილმა მოადგილემ ვანო მაჭავარიანმაც გააკეთა.

– სენატორი ჯიმ რიში პირდაპირ მიანიშნებს, რა არის საჭირო იმისთვის, რომ საქართველო იყოს აშშ-ის მოკავშირე. საერთო ჯამში, გიორგი რურუას პატიმრობიდან გათავისუფლება მხოლოდ და მხოლოდ წაადგება ქვეყანას და იმ საარჩევნო პროცესს, რომელიც ჩვენმა პარტნიორმა ქვეყნებმა უნდა აღიარონ, როგორც სამართლიანი და ლეგიტიმური, – უთხრა მან ინტერპრესნიუსს.

მაჭავარიანის შეფასებით, „ქართული ოცნების“ მხრიდან იმის მტკიცება, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს და ამერიკის საკანონმდებლო ორგანოს საქართველოსთან მიმართებით სხვადასხვა პოზიცია აქვთ, ტყუილია. მისივე თქმით, განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ სენატორებისა და კონგრესმენების აზრი არ არის მნიშვნელოვანი, ბიძინა ივანიშვილის გულის საამებლად კეთდება.

– სენატორ რიშის განცხადებაში პირდაპირი გზავნილია, თუ რა უნდა გააკეთოს საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ იმისთვის, რომ არ დაკარგოს სტრატეგიული პარტნიორის როლი და ფუნქცია. ეს პირდაპირ გადის საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაზე, პოლიტიკური ნიშნით დაკავებული ადამიანების გათავისუფლებაზე და ნებისმიერი ინტერპრეტაცია, რომელიც მოდის „ქართული ოცნების“ პოლიტიკოსებისგან, არის საზოგადოების შეცდომაში შეყვანა და იმ საფრთხის დაკნინება, რომლის წინაშეც ქვეყანა შეიძლება დადგეს, თუკი ამერიკა გადახედავს საქართველოსთან თანამშრომლობას თავდაცვის, უსაფრთხოების თუ სხვა საკითხებში.

სენატორ რიშს ძალიან კარგად ესმის საქართველოში არსებული სიტუაცია, ის პრობლემები, რომლებიც დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით არსებობს, ერთპიროვნული, პუტინური სტილის სახელმწიფოს მართვის საშიშროების არსებობა და ცდილობს, საქართველო აარიდოს მსგავსი სცენარის განვითარებას, – განაცხადა მაჭავარიანმა.

კითხვაზე, დაზარალდება თუ არა ოპოზიციის იმიჯი, თუკი ის საკონსტიტუციო ცვლილებების კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს, თუმცა „ქართული ოცნება“ ცვლილებების დამტკიცებასაც შეძლებს და ამის შემდეგ, რურუასაც გაათავისუფლებს, ვანო მაჭავარიანი პასუხობს, რომ ამ ორი მთავარი მიზნის მიღწევის შემთხვევაში, ოპოზიციის ამომრჩეველი კმაყოფილი იქნება.

– ვფიქრობ, გიორგი რურუას გამოშვება გონივრული ნაბიჯი იქნება. როდის მოხდება მისი გათავისუფლება, ეს ცალკე თემაა, მაგრამ ვფიქრობ, ოპოზიციამ პრინციპული პოზიცია დაიჭირა. თუკი ეს ორი მიზანი – საარჩევნო სისტემის ცვლილება და პოლიტიკური მოტივაციით დაკავებული ადამიანების გამოშვება – იქნება მიღწეული, ამ შემთხვევაში ოპოზიციის ამომრჩეველი კმაყოფილი იქნება და არა მგონია, რამე განსაკუთრებული პრობლემა შეიქმნას ამ თვალსაზრისით.

დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში „ქართული ოცნების“ მცდელობა, თავისი თავი წარმოაჩინოს, როგორც დემოკრატიის შუქურა და ოპოზიცია, როგორც ანტიდემოკრატიული, ამრევი ძალა, არ მუშაობს. ამაზე მეტყველებს ვაშინგტონიდან, ბრიუსელიდან და ევროპის დედაქალაქებიდან გზავნილები, სადაც „ქართულ ოცნებას“ მოუწოდებენ, არ გადაუხვიოს დემოკრატიული განვითარების გზას და არ გახდეს პუტინის სტილის მმართველობის ქვეყანა, – დასძინა ვანო მაჭავარიანმა.

# სალომე სამადაშვილი: „გახარია აგდებულად იმიტომ გველაპარაკებოდა, რომ პასუხები არ ჰქონდა“

## „ოცნებაზეა“ დამოკიდებული, გაამკაცრებს თუ შეარბილებს დამოკიდებულებას ამერიკის სენატი“

იაგო ნაცვლიშვილი

26 მაისს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია პარლამენტის წინაშე წარსდგა და დეპუტატებს ერთწლიანი ანგარიში ჩააბარა.

რაზე მიიღეს პასუხები და რა უპასუხოდ დარჩა? – ამ საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი სალომე სამადაშვილი საუბრობს.

– პარასკევს პრემიერის ყოველწლიური მოხსენება იყო პარლამენტში. თუ მიიღეთ რაიმე კითხვაზე პასუხი, გარდა იმისა, რომ დეპუტატებს და ელაპარაკა არაეთიკური ტერმინოლოგიით? დეპუტატებს გითხრათ, რომ კურდღლები ხართ, გითხრათ „ე, ბიჭო მაცადეთ“ და ა. შ. რა მოისმინეთ თქვენ მისგან?

– მე მგონი პრემიერ-მინისტრმა ამ ტერმინოლოგიით იმიტომ ისაუბრა, რომ მას რეალურად არაფერი არ ჰქონდა სათქმელი. მას არ ჰქონდა პასუხები იმ შეკითხვებზე, რომლებიც აქვს საზოგადოებასა და ოპოზიციას სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე. ქვეყანაში არის ეკონომიკური კრიზისი, სოციალური პრობლემები და ამ ფონზე ხელისუფლება ხალხს რეალურად ვერაფერს სთავაზობს. ვფიქრობ, რომ მას რადგანაც არ ჰქონდა ამ კითხვებზე პასუხები, ამიტომაც ისაუბრა ასეთი აგდებული ტონით და ამით იყო გამოწვეული ის, რომ მას შეკითხვებზე პასუხები არ ჰქონდა.

მათ შორის მას პასუხები არ ჰქონია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც უკავშირდება 20 ივნისს და 20 ივნისის დარბევას.

– 20 ივნისთან დაკავშირებით ის ერთი მხრივ ამბობს, რომ ეს იყო პოლიტიკური შეცდომა, მაგრამ როდესაც დაუსვით კითხვები დეპუტატებმა, რომ მსგავსი რეალობა რომ დადგეს გაიმეორებ თუ არა იგივეს, ამაზე მკაფიოდ ვერ გიპასუხათ. რატომ?

– იმიტომ, რომ მას კარგად ესმის, რაც




მოხდა და მან თავადვე თქვა, რომ არა მხოლოდ შეცდომა იყო, არამედ შესაძლოა დანაშაულიც კი იყოო, თუმცა მან ვერ გვიპასუხა შეკითხვაზე – თუ დანაშაული იყო, ვინ დაისაჯა და ვინ აგო პასუხი გავრილოვის საქართველოში ჩამოყვანასთან დაკავშირებით.

შემდეგ მას არც ის უთქვამს, რომ სხვანაირად მოიქცეოდა ხელისუფლება, ეს რომ ახლა ხდებოდეს. მე ვფიქრობ, რომ ამით ყველაფერია ნათქვამი. კონკრეტულად კი ის, თუ რა დამოკიდებულება აქვს სახელმწიფო ვალდებულებებთან და 20 ივნისის მოვლენების სწორად შეფასებასთან დაკავშირებით.

– ამ თემაზე მან ასევე თქვა, რომ კანონი არ მაძლევდა გავრილოვის არშემოშვების შესაძლებლობას და დეპუტატები დაგადანაშაულათ, რომ ამ მხრივ აქამდე არ გაგიკეთებიათ რაიმე ინიცირება. რა პასუხი გაქვთ ამაზე?

– პრემიერს იქვე მიუთითა ჩემმა ერთ-ერთმა კოლეგამ ის მუხლი, რომლითაც საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია ნებისმიერ პირს ნებისმიერ დროს უარი უთხრას საქართველოს მოქალაქეს, თუ ეს ეხება ქვეყნის უსაფრთხოებას.

პრემიერის ეს განცხადება იყო უსუსური არგუმენტი და ხელისუფლება ამით შეეცადა ამით გასულიყო ფონს. იძახდა, რომ ეს იყო შეცდომა და შეიძლება ეს იყო დანაშაულიც კი, მაგრამ კით-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# საქართველო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების შეფასების უმაღლეს საფეხურზეა




აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შეფასების შესახებ მორიგი ანგარიში გამოაქვეყნა.

მიმდინარე წლის 25 ივნისს გამოცემულ დოკუმენტში საქართველო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების შეფასების უმაღლეს საფეხურზეა.

მსოფლიოს მასშტაბით შეფასებული 190 სახელმწიფოდან, საქართველო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების ე.წ. პირველ კალათაში ინარჩუნებს ადგილს, სხვა 34 ქვეყანასთან ერთად.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობა სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგის აღმოფხვრისთვის დადგენილ სტანდარტებს.

დოკუმენტში პოზიტიურადაა შეფასებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში სპეციალიზებული დანაყოფის არსებობა და მობილური ჯგუფების გაზრდის დადებითი მხარე. ასევე, ხაზგასმულია აჭარის რეგიონში სპეციალისტთა ჯგუფის „თიშჰ ღჩ “ ფუნქციონირება სპეციალიზებული გამომძიებლებისა და პროკურორების მონაწილეობით.

ანგარიშში აღნიშნულია სამართალდამცველების კვალიფიკაციის გაზრდის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს საბაზისო სასწავლო კურსში ტრეფიკინგის საგნის სწავლებას და ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განხორციელებული პერმანენტული ტრენინგები.

ანგარიშში დადებითადაა შეფასებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის, ტრეფიკიორთა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემისა და მსხვერპლთა დახმარების მიზნით სამართალდამცავ უწყებათა ძალისხმევის გაძლიერება.

პრიორიტეტული რეკომენდაციები მიმართულია მსხვერპლთა პროაქტიური იდენტიფიცირებისკენ, სამართალდამცველთა შესაძლებლობების განვითარებისკენ, გამოიძიონ ტრეფიკინგთან დაკავშირებული დანაშაულები (ფულის გათეთრება, ორგანიზებული დანაშაული, ციფრული მტკიცებულებების მოპოვება და სხვა), მსხვერპლთა მხარდაჭერისა და მათთან თანამშრომლობის გაძლიერებისკენ.

დოკუმენტში ასახულია გამოძიებული საქმეების, სისხლისსამართლებრივი დევნის, განაჩენების სტატისტიკური მონაცემები, რაც არის უწყებების კოორდინირებული მუშაობის შედეგი.

ანგარიშში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ ახდენს ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განხორციელებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

სახელმწიფოს მხრიდან ჩატარებული პრევენციული ღონისძიებებიც შეფასებულია პოზიტიურად, მათ შორის, ხაზგასმულია შინაგან საქმეთა სამინისტროში ცხელი ხაზის არსებობა.

ტრეფიკინგის ტენდენციად კვლავ ნარჩუნდება შუა აზიის ქვეყნებიდან ქალთა ყალბი დაპირებებით ჩამოყვანა და შემდგომ მათი სექსუალური ექსპლუატაცია საქართველოს ტერიტორიაზე ან საქართველოს გავლით, მეზობელ ქვეყნებში. ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს მოქალაქეები ექსპლუატაციის მსხვერპლნი ხდებიან იმ ქვეყნებში, სადაც ისინი შრომითი მიგრაციით მიემგზავრებიან.

ტრადიციულად, ანგარიშს თან ახლავს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის და მსხვერპლთა დაცვის გაუმჯობესების მიზნით.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გახარია ერთ-ერთი უარყოფითი პერსონაჟია ქართულ პოლიტიკაში“

## არჩილ გამზარდია: „კალაძე ოპოზიციაში, შეიძლება, ეს გაცილებით ეფექტური იყოს, ვიდრე კალაძე ხელისუფლებაში“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი არჩილ გამზარდია პასუხობს.**

***– არჩილ, დღეს პარლამენტმა მესამე მოსმენით კენჭი უნდა უყაროს საკონსტიტუციო ცვლილებებს. ვიცით საპარლამენტო ოპოზიის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. ასევე მოვისმინეთ ელჩების მოწოდება, რომ ოპოზიციამ 8 მარტის შეთანხმება უნდა შეასრულოს, რასაც ოპოზიციის მხრიდან საკმაოდ აგრესიული შეფასებები მოჰყვა, რის გამოც ხელისუფლებას ბოდიშის მოხდა მოუწია. როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერზე?***

– ხელისუფლებამ, მგონი ცოტა ისარგებლა სიტუაციით და ბოდიშების მოხდა იმისთვის დაიწყო, რომ ამით ისევ შიდა ბაზარზე ემუშავა და კიდევ უფრო დისკრედიტაცია მოეხდინა ოპოზიციისა, რომ აი, სახელმწიფოს წინააღმდეგ როგორ არიან, რომ ხელისუფლებას ბოდიშის მოხდა უწევს. ამიტომ, მე ამაში არც გულწრფელობას ვხედავ და არც ამისი აუცილებლობა არ იყო.

***– ფაქტია, ხელისუფლებამ სათავისოდ გამოიყენა, მაგრამ რატომ ვერ გათვალა ოპოზიციამ?***

– ცხადია, ეს კითხვაც ჩნდება, მაგრამ ჩვენთან რაციონალური პოლიტიკა ხომ არ არის. შესაბამისად, არ აქცევენ ხოლმე ყურადღებას ასეთ გამონათქვამებს. ასეთი არაკორექტული გამონათქვამები „ოცნებასაც“ ბევრი ჰქონია, თუნდაც იგივე მკვლევარების, სოციოლოგიური ჯგუფების მიმართ, მუდმივად არაკორექტულ განცხადებებს აკეთებენ, უბრალოდ, შეფუთულია ხოლმე რაღაც ფორმაში. ამიტომ აქ არაფერი საოცრება არ ხდება. ზოგადად ჩვენ არ გვაქვს მაინცდამაინც დიპლომატიური პოლიტიკა ჩვენი პოლიტიკოსების მხრიდან. ეს ნეგატიური, უხეში გამოთქმები ერთმანეთის და სხვების მიმართ, უკვე ჩვეულებად იქცა. სამწუხაროდ, რაც ჩვენი პოლიტიკის არასწორ მიმდევრობას უსვამს ხაზს. სხვა მხრივ, რაც შეეხება საქართველოსადმი დამოკიდებულებას, ის ყოველთვის მრავალგვარია და ხელისუფლება თავის წილს ირჩევს, ოპოზიცია კი თავის წილს. ამას გარდა, არ დაგვავიწყდეს, რომ ლობირების ფაქტორიც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ოპოზიციური, ისე სახელისუფლო თვალსაზრისით.

***– ანუ, რომელი ქვეყნის ელჩი ვის ლობირებს?***

– დიახ, ასეა. ჩვენთან ე.წ. „მესამე პირის“ ცნება არსებობს თეორიაში. მესამე პირის კუთხით, რომელსაც იდეაში უფრო მეტი სანდოობა აქვს ხოლმე, მაშინ, როდესაც მხარეები დისკრედიტირებულები არიან. ამას, როგორც წესი, ზომაზე მეტი ყურადღება ექცევა და რაღაცნაირად სულ მესამე პირის ცნებას იყენებენ ხოლმე. ამიტომაც უცხოელი პარტნიორი ზომაზე და საჭიროებაზე მეტ ყურადღებას იღებს ჩვენთან, რაც თავისთავად ასევე არასწორია.

***– არჩილ, რამდენად სწორია ამ სიტუაციაში ოპოზიციის პოზიცია და როგორია თქვენი დამოკიდებულება, უნდა მიიღონ თუ არა მათ მონაწილეობა მესამე მოსმენით კენჭისყრაში?***

– კენჭისყრაში მონაწილეობა უნდა მიიღონ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მიიღებენ თუ არა, მე როგორც ვხვდები, საკონსტიტუციო ცვლილებები მაინც შედგება. ამიტომ დილემა აქვს ოპოზიციას, ან ისინი ერთ ჩვენებას მიაწვებიან და იქნებიან მსგავს რეჟიმში, ან გახდებიან ამ პროცესის მონაწილეები. საქმე რაა და რატომ აქვთ დილემა...

***– რატომ?***

– თუ მიიღებენ მონაწილეობას, ეს ცოტა უხერხული გამოდის რურუას მიმართ.

***– თუმცა რურუამაც მოუწოდა პროცესში მონაწილეობისკენ.***

– მიუხედავად ამისა. ხოლო თუ არ მიიღებნე მონაწილობას, ჩვენი პარტნიორების მიმართ იქნება უხერხული.

***– მნიშვნელოვანი პროცესის მიღმა რჩებიან?***

– ესეც და ასევე, ხელისულება უფრო სოლიდურ პოზაში გამოდის, რომ ისინი იცავენ იმ პირობებს, რაც მიიღეს და ოპოზიცია არ იცავს.

***– ხელისუფლების მხრიდან უკვე აგორდა ეს კამპანია, რომ თავად ითხოვდნენ ამ ცვლილებებს და ახლა მხარს არ უჭერენო. სათავისოდ იყენებს ხელისუფლება ამ სიტუაციას?***

– რასაკვირველია. ოპოზიციამ კი ვერ გამოიყენა საკმარისად ეფექტურად საინფორმაციო პოლიტიკა ამ ნაწილში. მე ვფიქრობ, რომ ეს დილემა უნდა გადაწყვიტონ იმ კუთხით, რომ მიიღონ მონაწილეობა ამ პროცესში და მერე ასევე თქვან, რომ ყველაფრის მიუხედავად, საერთაშორისო პარტნიორების პოზიციას სცემენ პატივს და მხოლოდ ამ ფაქტორით ამოდიან და არა სხვა დანარჩენით. მერე კი გააგრძელონ ბრძოლა ამ პირის გათავისუფლების მოთხოვნით. ხელისუფლებამ ისე წაიყვანა პოლიტიკური დღის წესრიგი, რომ ჩვენც, ყველა გადავერთეთ ამ დეტალებზე, რომელიც ხელისუფლებას უფრო აწყობს. სხვა უფრო სერიოზული პრობლემები ყურადღების მიღმა რჩება. რა თქმა უნდა, დღეს ხელისუფლების ინტერესებშია, რომ უფრო ნაკლებ ბოროტებად გამოჩნდეს, ვიდრე რეალურად არის.

***– აქცენტები გადააქვთ ხელოვნურად?***

– კი, ასეა. თანაც რურუას მიმართ განწყობა საზოგადოებაში არაერთგვაროვანია. მასობრივ აზრს ქმნიან არა იმაზე დაყრდნობით, რომ ახლანდელი დაკავება-დაჭერა რამდენად სამართლიანად მოხდა, არამედ ძველ ფაქტორზე. რაც არ უნდა უარყოფითი პირი არსებობდეს, მოცემულ მონეტში უნდა იყოს სამართლიანი სახელმწიფო და არა ზოგადად მთლიანობაში ამ პირის მიმართ. ბოლოს და ბოლოს, შეიძლებოდა მიწოლა იმაზე, რომ ახლანდელი ბრალდებით გამოეშვათ და შემდეგ დაეწყოთ მოკვლევა ძველი თემების შესახებ და იმ ბრალდებით დაეჭირათ, რითიც თვლიან, რომ დასაჭერი იყო.



***– გასული კვირის ბოლოს, პრემიერ-მინისტრი სტუმრობდა პარლამენტს. მისი მისვლა ყოველთვის აჟიოტაჟს იწვევს ხოლმე მხარეებს შორის. როგორია თქვენი ხედვები გახარიასთან მიმართებაში?***

– მე გახარიას გამოჩენის დღიდან მაქვს ერთი და იგივე პოზიცია, რომელიც მარტო მიმყარდება და ეს არ ხდება მისდამი სასიკეთოდ. ზოგადად, მიმაჩნია, რომ გახარია არის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული უარყოფითი პერსონაჟი ქართულ პოლიტიკაში, წლების განმავლობაში. უბრალოდ, ის რაღაცებს კარგად ფუთავს. ლაპარაკის უნარი აქვს, კარგი მანერები აქვს. გონიერი ადამიანია ამ მხრივ. მას აქვს იმის უნარი, რომ სათავისოდ წაიყვანოს ხოლმე პროცესები და ძვრება შექმნილი სიტუაციებიდან. მთლიანობაში, გახარია, თავიდან ბოლომდე არის პოზა. მეტი არაფერი არ არის.

***– მოქნილი პოლიტიკოსია?***

– არ დაგვავიწყდეს, პრემიერ-მინისტრზეა ლაპარაკი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით დღეს ყველაზე მაღალი ძალაუფალია. ისეთი მაღალი ძალაუფალია, რომ მიხეილ სააკაშვილიც კი არ ყოფილა თავისი პრეზიდენტობის დროს. ბევრად დიდი ძალაუფალია. თუმცა ასეთ ძალაუფლებას ხედავს ვინმე გახარიაში? ვერავინ ვერ ხდავს, იმიტომ ძალაუფალს ყველა ხედავს ბიძინა ივანიშვილში. ამიტომაც ვამბობ, რომ ეს დაყენებული სახე, მართვა, გახარიას ელექტორატზე კარგად მუშაობს. ის მის ოპონენტებს, იგივე ნაიცონალურ მოძრაობას, ძალიან ფრთხილი, საკმაოდ კორექტული და აგრესიული ფორმით პასუხობს და ამ პასუხებში თითქმის წაუგებელია. თუნდაც ყველაზე მაღალი ფაქტორი, 20 ივნისის მოვლენები რომ გავითვალისწინოთ, იქაც კი, საერთო ჯამში, მომგებიან პოზიციაში გამოდის, რადგან მას აკრიტიკებენ წინა ხლეისუფლების წარმომადგენლები, რომლებსაც გაცილებით მძიმე დანაშაულებებში მიუძღვით ბრალი. ზოგადად გახარიას აქვს უნარი, რომ წყლიდან მშრალი გამოვიდეს. ჯერჯერობით ასეა და ეს ნეგატიური კამპანიაც საკმარისი არ არის მის მიმართ.

***– ბევრჯერ აგორდა მის წანაალმდგ სერიოზული კამპანია, თუმცა ყველა სიტუაციიდან, ასე თუ ისე, გამოძვრა. ხშირად იყო საუბრები მის გაშვებასთან დაკავშირებით, საუბრობდნენ დაპირისპირებაზე მასა და ივანიშვილს შორის. თუმცა პოზიციებს დღემდე მყარად ინარჩუნებს. ასე მივა არჩევნებამდე? რა შიდა დინებებია „ოცნებაში“?***

– ბოლო ხანებში რომ ამბობდნენ გახარია გადადგებაო, მე ეს ნაკლებად დამაჯერებლად მეჩვენებოდა კონტექსტის გამო. იმიტომ, რომ ამ წუთისათვის მსგავსი კონტექსტი არ არის და, შესაბამისად, ის ივანიშვილის მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს. გახარია თავის ძალაუფლებას არ ქმნის, ის არის ივანიშვილის ძალაუფლების ადმინისტრატორი. ამიტომაც, რატომ არ უნდა იყოს მასზე დაყრდნობილი ივანიშვილი? მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ძალიან ხშირად ის ამ საინფორმაციო ომს სათავისოდ ატრიალებს, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ხშირად ძვრება სიტუაციიდან. რა მოტივი არსებობს იმისათვის, რომ ის დღეს გაუშვან?! ამ წუთში ამის მოტივი, ამის პირობა არ არსებობს. შესაბამისად, გახარიამ ორი პრინციპი უნდა შეინარჩუნოს, სანამ ის ივანიშვილის საყრდენია და საკუთარ ძალაუფლებას არ ქმნის, ანუ დამოუკიდებელ თამაშს არ თამაშობს, ასევე სანამ მასობრივ საზოგადოებაში ის ძვრება სიტუაციებში თავისთვის სასურველად, მანამდე გახარიას პრობლემა არ შეექმნება.

***– იმის თქმა გინდათ, რომ ივანიშვილისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს?***

– დიახ, არ ქმნის მისთვის საფრთხეს. ან რაში უნდა შეუქმნას?! გახარია, პოპულარულია, მაგრამ დადებითი პოპულარობა მაღალი არ აქვს. გახარია, ივანიშვილის გარეშე ისევ არაფერი იქნება. არ მგონია, დღეს ვინმე გახარიას ივანიშვილის კონკურენტად განიხილავდეს.

***– რამდენად განიხილავთ გახარიას სიის პირველ ნომრად?***

– ეს ლოგიკურიც იქნებოდა იმიტომ, რომ გახარიას, რაღანაირად ყავლი გასდის როგორც პრემიერს, მაგრამ საჭირო პირია „ქართული ოცნებისათვის“. შესაბამისად, გამორიცხული არ არის, რომ ის პირველ ნომრად წავიდეს და სახე იყოს. რა კამპანიაც არ უნდა ააგოს ოპოზიციამ 20 ივნისთან დაკავშირებით, ეს გახარიას და „ოცნებას“ საკუთარ ამომრჩეველში არანაირ ზიანს არ მიაყენებს. შესაბამისად, ეს სავსებით შესაძლებელია. კარგა ხნის წინ, როდესაც გახარის გადაყენებაზე დაიწყო ლაპარაკი, მე მაშინვე ვთქვი, რომ გახარიას გადაყენება შესაძლებელია მხოლოდ ერთადერთი მოტივით, თუკი ის საპარლამენტო

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# გიორგი მშვენიერაძე: „სუს-ში დაბარებებს შეიძლება საზოგადოებაში მსუსხავი ეფექტი ჰქონდეს“

იაგო ნაცვლიშვილი

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მთავარი არხის ეთერში გასულ სიუჟეტზე გამოძიება დაიწყო, რომელიც პანდემიასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხებოდა და რომლის მიხედვითაც, ფულს უხდიდნენ ადამიანებს, რათა ეთქვათ, რომ კონკრეტული ადამიანი კოვიდ 19-ით გარდაიცვალა, მაშინ როცა, სხვა დაავადებით გარდაიცვალა. სიუჟეტის რესპონდენტები სუს-ში დაიბარეს. უფრო მეტიც, სუს-ში დაიბარეს ისინიც, ვინც სოციალურ ქსელში ამ თემაზე რაიმე პოსტი ან პოსტის ქვეშ კომენტარი გამოაქვეყნა. მათ შორის სუს-ში დაიბარეს ბლოგერი ნინო ჭელიძე და რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე.

ეს არის საქმის გამოძიების სურვილი თუ ჩნდება განცდა, რომ წინასაარჩევნოდ ადამიანები დააშინონ, რათა მათ ვერ გაბედონ კრიტიკული აზრის გამოხატვა და მედია მოერიდოს კრიტიკულ მასალებს? ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ ხელმძღვანელი გიორგი მშვენიერაძე.

***– ვნახეთ სუს-ში დაბარებების პირველი სერია ტელევიზიაში გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით და შემდეგ ფეისბუქში გამოქვეყნებულ პოსტებთან დაკავშირებით და არა მხოლოდ პოსტებზე, არამედ კომენტარებზეც კი ადამიანებს იბარებენ გამოკითხვაზე. საით მივდივართ?***

– ზოგადად ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ, რომ ეთერში გასული სიუჟეტი გამოიწვევს საგამოძიებო ორგანოების დაინტერესებას, მაგრამ არა იმიტომ, როგორ და რა ფორმით გააკეთა ეს ჟურნალისტმა, არამედ იმიტომ, რომ სიუჟეტი შესაძლოა აღწერდეს დანაშაულს და თუ ამით გამოძიება დაინტერესდება, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. პირიქით, მივესალმები, თუკი მედიაში გავრცელებული მასალის შემდეგ, სადაც დანაშაულზეა საუბარი და თუ ამ დროს გამოძი-



ება დაიწყება, ეს ცუდი არ არის. ამით მედიაც უკეთესად შეასრულებს თავის მოვალეობას, რომ იყოს მაკონტროლებელი.

პრობლემა ის არის, რომ ჩნდება კითხვა, ამას სამართალდამცავი ორგანოები ხომ არ იყენებენ ე. წ. მსუსხავი ეფექტისთვის, რომ ჟურნალისტების დაბარებით საგამოძიებო ორგანოებში, ნაცვლად თანამშრომლობისა, არ შეიძინოს ისეთი შინაარსი, რომ მას აკონტროლებენ ან სჯიან საგამოძიებო უწყებებში დაბარებებით. ანუ ამან არ უნდა შეიძინოს სხვა ელფერი.

ეს ხდება განსაკუთრებით იმ ვითარებაში, როდესაც სუს-ის მიმართ და ზოგადად საგამოძიებო ორგანოების მიმართ ნდობა დაბალია ჩვენს ქვეყანაში, ამიტომ ამან გააჩინა ასეთი განცდა და აჩენს ყოველთვის. აჩენს შთაბეჭდილებას, რომ სუსი დაინტერესებულია არა გამოძიებით, არამედ ფაქტის გავრცელებით არის შეშფოთებული. მათ შორის ხელისუფლებისგან ასეთი გზავნილები უფრო მოდის. ამიტომ არის პრობლემა.

***– თან საეჭვოდ დაემთხვა სუს-ში დაბარებები იმ პერიოდს, როდესაც კალაძემ გაილაშქრა 3 კრიტიკული ტელეარხის წინაალმდეგ და ესეც ხომ არ ამძაფრებს კითხვებს?***

– აქ, მე მგონი, ხელისუფლების კომპლექსურ გადაწყვეტილებასთან გვაქვს საქმე. თითქოს იმსჯელეს მმართველ გუნდში და გადაწყვიტეს, რომ სხვადასხვა კუთხიდან წამოიწყონ შეტევა და კონკრეტულ შედეგამდე მივიდნენ ამ შეტევით. ასეთი შთაბეჭდილება ნამდვილად დატოვა ამ ყველაფერმა.

***– ეს იმუშავებს საზოგადოების დაშინების თვალსაზრისით? იმ ვითარებაში, როდესაც ყველამ ვიცით, რომ სუსი ერევა ხოლმე საარჩევნო კამპანიაში, ამ მხრივაც ხომ არ დაინახეთ პრობლემა?***

– ის ხალხი, ვინც დაიბარეს, არა მგონია, იმ კატეგორიის ადამიანები იყვნენ, რომლებსაც ასეთი დაბარებები აშინებდეთ. თუმცა, მთავარი ის არ არის, ამ ხალხს ეშინია თუ არა, მთავარი ის არის, რა არის სუს-ის მიზანი. როგორც ვახსენე, მიუხედავად იმისა, რამდენად გულადი მასპინძელი დახვდება ამ პროცესს, ეს არის მსუსხავი ეფექტი და ჩვენ ეს უნდა გვესმოდეს.

ვინმე დარწმუნებული რომ იყოს, რომ სუს-ს მართლა გამოძიების ჩატარება უნდა და ფაქტი დაადგინოს და დანაშაულის გამოკვეთის შემთხვევაში დამნაშავე დასაჯოს, მაშინ პირიქით, ეს შესაძლოა დადებითადაც კი ჩათვლილიყო. მაგრამ იმ ვითარებაში, როდესაც ასეთი მოლოდინი არ არსებობს და მოლოდინია, რომ გაარკვიონ, საიდან მიიღო მედიამ ეს ინფორმაცია, ვინ რა იცის და რატომ აკეთებს, ეს უკვე სხვა ტიპის გზავნილია საზოგადოებისთვის და ეს ბადებს ეჭვებს.

***– საზოგადოებამ რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ამ მსუსხავი ეფექტის მოცემულობა არ მივიღოთ რეალობად?***

– ამის პირველი სწორი ნაბიჯი არის საჯარო რეაგირება. შესაძლოა მოკლევადიან პერიოდში ჰქონდეს რაღაც ეფექტი, რომ აი, ამათ იბარებენ და ჩვენ რას გვიზამენ, მაგრამ საბოლოო ჯამში, ამას საზოგადოებაზე ვერ ექნება გავლენა.

მე, პირადად, რომ მიბარებდნენ საგამოძიებო ორგანოებში, ძალიან მარტივად ვუპასუხებდი და ვეტყოდი, რომ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს და ამ გზით მომხდარიყო ჩემი გამოკითხვა. მე, პირადად, სუს-ის შენობაში გამოკითხვის გზას არ ავირჩევდი. იმიტომ, რომ მე გამოკითხვის პროცედურა მესმის, როგორც თანამშრომლობის პროცედურა, როდესაც საგამოძიებო ორგანოები დაინტერესებულები არიან, შესაძლოა შენგან მართლა მიიღონ ინფორმაცია და შენ კი არ გიბარებდნენ კაბინეტებში, შენობებში, რომელზეც საზოგადოებას ცუდი განცდა აქვს, არამედ იმისათვის, რომ მან მოაგროვოს საჭირო ინფორმაცია. სამწუხაროდ, ჩვენ ამ ფორმატში ჯერ ვერ გადავედით.

***– კალაძის ქმედებას როგორ აფასებთ, როდესაც ის იწყებს ტელესიუჟეტების განხილვას და ალტერნატიულ სიუჟეტებს სთავაზობს საზოგადოებას. ხომ არ არის ეს პირდაპირ გალაშქრება კრიტიკული მედიისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ?***

– ამას შესაძლოა სხვადასხვანაირი აღქმა ჰქონდეს, მაგრამ უცნაური ის არის, რომ კალაძემ მერიაში ერთგვარი ტელევიზია შექმნა. ასეთი აღქმა შეიძლება ჰქონდეს ამ პროცესს. ზოგადად არ არის თვითმმართველობის ან ადმინისტრაციული ორგანოების საქმე, რომ ტელევიზიები ჰქონდეთ, რომლებიც ბიუჯეტიდან დაფინანსდება. ეს ყველას კარგად უნდა ესმოდეს.

არაფერი ცუდი არ არის, თუ პოლიტიკოსი კახა კალაძე მიმართავს ამ გზას, მაგრამ არა – ადმინისტრაციული ორგანო. ამაზე უნდა იფიქროს ყველამ. გამოხატვის უფლება აქვს ყველას, მაგრამ ამაში თვითმმართველობის ფული ნამდვილად არ უნდა იხარჯებოდეს.



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,

ნახატ სურათებს,

ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

# „ოპოზიცია ამ არჩევნებს თუ წააგებს, მას პოლიტიკიდან წასვლა მოუწევს“

## სოსო ცინცაძე: „მე ვერ ვიხსენებ შემთხვევას, როდესაც არჩევნებამდე 5 თვით ადრე ელჩი გენერალურ პროკურორს შეხვედროდეს და ეთქვას, არჩევნები სამართლიანად უნდა ჩატარდეს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო სოსო, ამერიკის თავდაცვის აქტში ჯიმ რიშის შესწორებებს რას უკავშირებთ და როგორ ფიქრობთ, გავა ეს დოკუმენტი?***

– დიდი ალბათობით ეს დოკუმენტი გავა თუ თავად დონალდ ტრამპი არ ჩაერია. მთავარი მაინც არის ამ შესწორებების დრო და სიტუაცია, ეს არის ძალიან საყურადღებო. რატომ მაინცდამაინც ახლა?! ეს არ ყოფილა ცარიელ ადგილას. წინ რა უსწრებდა ამ ყველაფერს?! რასაკვირველია, წინ უსწრებდა რიშის არაერთი განცხადება, სხვა სენატორების ერთობლივი წერილები, განცხადებები. დღეს, როდესაც ამერიკის სენატორებს, კონგრესმენებსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის ურთიერთობებში ცა მაინცდამაინც არ არის მოწმენდილი, ეს ინიციატივა უკვე ღიად მეტყველებს ყველაფერზე.

მმართველი პარტიის ზომაგადასული, არცთუ დამაჯერებელი კომენტარები, ეს მეტყველებს იმაზე, რომ მმართველი პარტიისთვის ეს აბსოლუტურად მოულოდნელი იყო. კი იყო გაფრთხილებები როგორც დახურულ კარს მიღმა, ისე ღიად, მაგრამ ეს აბსოლუტურად მოულოდნელი აღმოჩნდა. მე ამით ავხსნიდი ამ დაბნეულობას, ამ კომენტარებს. შეიძლება ითქვას, უკვე პრინციპული მნიშვნელობა არც კი აქვს „ქართული ოცნებისთვის“, რიშის ეს ინიციატივა იქცევა თუ არა კანონად, რადგან უკვე ყველაფერი ღიად არის ნათქვამი მათთვის.

***– და არა ქვეყნისთვის?***

– დიახ. არავითარი საფრთხე არ ემუქრება საქართველოს სახელმწიფოსადმი ამერიკის სახელმწიფოს დამოკიდებულებას, სტრატეგიული პარტნიორობის გადახედვას და ეჭვქვეშ დაყენებას. საფრთხე ელის ამერიკის მმართველი ელიტისა და საქართველოს ხელისუფლების ურთიერთობას. განა შევარდნაძეს რომ ურჩევდნენ მისი წასვლის დრო იყო, როდესაც ბეიკერი ჩამოვიდა, რა, საქართველოსთან ურთიერთობა საფრთხის ქვეშ იდგა?! არა, რა თქმა უნდა!

ამ აქტის შეუფასებლობა დიდი დიპლომატიური შეცდომა იქნება „ოცნების“ მხრიდან. ჩვენთვის ცნობილი არ არის წყალქვეშა დინებები. დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკის ელჩი საქართველოში, გარე მაყურებლის როლში არ იმყოფება. მხოლოდ ორ-სამ შემთხვევას ვიხსენებ, როდესაც ვაშინგტონი ასეთ მძაფრ დაინტერესებას ახდენს ჩვენი საშინაო პოლიტიკისადმი. ცხადია, მომავალი არჩევნებისადმი.

***– თითქმის არჩევნების წინ ასეთი ინიციატივა, შეიძლება პირდაპირ არჩევნებს უკავშირდებოდეს?***

– დიახ, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. 31 ოქტომბერს საქართველოში მნიშვნელოვანი არჩევნებია. არჩევნებია 3 ნოემბერს ამერიკაში. ეს იშვიათი დამთხვევაა. ამერიკას სერიოზული ეჭვები გაუჩნდა, საქართველოს მმართველი პარტია რამდენად არის დემოკრატიისადმი ერთგული. ძალიან ბევრი რამე იქნება დამოკიდებული იმაზე, არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში თუ როგორ მოიქცევა „ქართული ოცნება“.

თუ „ქართული ოცნება“ ამ აქტის მნიშვნელობას კარგად გააცნობიერებს, მაშინ არჩევნები ნამდვილად ჩატარდება თავისუფლად და სამართლიანად. მოდი ასე ვთქვათ, ამერიკა გარანტად დადგა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით. არის არჩევნები, რომელსაც ხელისუფლება ყოველგვარი კანონის გადახვევის გარეშე იგებს. ასეთი არჩევნები იყო, მაგალითად, ზვიად გამსახურდიას არჩევნები, 2002 წლის არჩევნები, 2012 წლის არჩევნები. რაც შეეხება 2020 წლის ოქტომბრის არჩევნებს, ამას ვერ ვიტყვით. ეს იქნება ყველაზე რთული არჩევნები. ეს იქნება მართლაც გარდამტეხი არჩევნები. არჩევნები, როდესაც დამარცხებული ან მიდის პოლიტიკიდან, ან რადიკალურად ცვლის ყველაფერს. თუ ამ არჩევნებს წააგებს ოპოზიცია, მას პოლიტიკიდან წასვლა მოუწევს. 2024 წლის არჩევნებისთვის უკვე სხვა ოპოზიცია იქნება, თაობათა ცვლა მოხდება.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, თუ ის დამარცხდება ამ არჩევნებში, მაშინ 2024 წლისთვის ის სრულიად სხვა პარტიას შექმნის და არც ერთი სახე, რომელიც დღეს „ოცნებას“ წარმოადგენს, იქ არ იქნება.

***– არჩევნების გაყალბების შესაძლებლობას გამორიცხავთ?***

– მანიპულაციები დასჭირდება „ოცნებას“ და ეს იცის ვაშინგტონმა. მე ვერ ვიხსენებ შემთხვევას, როდესაც არჩევნებამდე 5 თვით ადრე ელჩი გენერალურ პროკურორს შეხვედროდეს და ეთქვას, არჩევნები სამართლიანად უნდა ჩატარდეს. დიპლომატიის ისტორიაში, ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში, მე ასეთ ფაქტს, უბრალოდ, ვერ ვიხსენებ. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მაინტერესებს ამ შეხვედრის სტენოგრამა, რას არ მივცემდი, ოღონდ ამ სტენოგრამას გავცნობოდი. ცხადია, შოთაძემ შეხვედრის დეტალები ბიძინა ივანიშვილს უამბო. „ოცნების“ ორმა სამმა ლიდერმა უკვე იცის ამ საუბრის შინაარსი.

ერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ დღეს ივანიშვილი არჩევნებს არ დათმობს.

***– მიუხედავად პირდაპირ სანქციებით მუქარისა?***

– დიახ, მიუხედავად ამისა. როგორც ჩანს, ანაკლია აღმოჩნდა ბიძინა ივანიშვილის აქილევსის ქუსლი ამერიკასთან ურთიერთობაში. ამიტომ, მე არ გამოვრიცხავ, ბოლო თვეებში რაღაც ნაბიჯი გადაიდგას ანაკლიის მიმართულებით, ყოველ შემთხვევაში, პროპაგანდისტული მაინც.

კიდევ ერთი, 2012 წელს, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა გაიმარჯვა, ამერიკის ელჩმა ორჯერ თუ სამჯერ ვაშინგტონში ვიზიტის დაგეგმვა შესთავაზა, რაზეც ივანიშვილმა უარი უთხრა. ეს იყო დიდი შეცდომა. დიპლომატიაში ასეთი რამე არ ხდება. როგორც ჩანს, ვაშინგტონში ეჭვი ჯერ კიდევ მაშინ გაჩნდა. ეჭვი, მოსკოვს ხომ არ უწევს ანგარიშს.

***– რაც შეეხება ოპოზიციას, თითქოს ამ განცხადებებს მხარდამჭერ განცხადებებად აღიქვამენ. რამდენად სწორად მოქმედებს ოპოზიცია წინასაარჩევნოდ?***

– დასავლეთის ეს განცხადებები დათვურ სამსახურს უწევს ოპოზიციას. ისეთი თვითდაჯერებულები არიან, რომ უკვე თავი ქუდში ჰგონიათ. ამერიკას შეუძლია გააფრთხილოს ხელისუფლება და უთხრას, რომ არჩევნები თავისუფალ გარემოში, დემოკრატიულად უნდა ჩატარდეს, მაგრამ ოპოზიციას ვერ გააძლიერებს. ოპოზიციის სიძლიერე კი მის ერთობაშია, რასაც ვერა და ვერ ახერხებს ოპოზიცია. ოპოზიციის ფრაგმენტაცია, დაქუცმაცება მხოლოდ ხელისუფლებას აძლევს ხელს.

ქართულ საარჩევნო მარათონში ოქტომბრის არჩევნები ერთ-ერთი უპრეცედენტოდ საინტერესო არჩევნებია თავისი გაურკვეველი და სარისკო შედეგით. არც ერთი მხარე არ არის დღეს მზად, დამარცხება აღიაროს. ეს ყველაზე საშიშია. თეორიულადაც კი არ უშვებენ ამას არც ერთი და არც მეორე. მე არ ვარ დარწმუნებული, რომ არ არსებობენ ცხელი თავები, რომლებიც არ ამბობდნენ – რა გააჭირა საქმე ამ ამერიკამ! ბოლოს და ბოლოს, ალტერნატივა არის რუსეთი! ეს იქნება ყველაზე დიდი შეცდომა, გამოუსწორებელი დანაშაული. აი, სააკაშვილს ალტერნატივა არ ჰქონდა. ამიტომ, ის შეეგუა დამარცხებას და აღიარა. აი, ეს განსხვავებაა. ეს, რასაკვირველია, ამერიკამ კარგად იცის.

# „ჩემმა შვილმა შაქარაშვილის სურათზე იტირა, ჩვენ გამო ეს ბიჭი რატომ მოკვდაო“

გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმეზე დაკავებული 17 პირიდან 3 არასრულწლოვანია.



ერთ-ერთი არასრულწლოვნის მამა „კურიერს“ ესაუბრა. თამაზ ხამასურიძე მომხდართან დაკავშირებით საკუთარი შვილის ვერსიას დეტალურად აღწერს.

– დაიწყო ნაქირავებ აგარაკზე საბურთალოელებსა და ნახალოვკელებს შორის, სადაც ვახო ჩიქოვანი შევიდა გასაშველებლად და თავში ბლაგვი საგანი მოხვდა, გაუტყდა თავი. ჩემი ბიჭი იყო შიგნით ბარში, როდესაც ყველა გარეთ გავიდა ჩხუბზე, ჩემმა შვილმა მეც გავყევიო, ჰაერზე რომ გამოვედი, რაღაცამ იმოქმედა და ცუდად გავხდი, იქვე გვერდზე ხეს მივეყუდეო. 5-10 წუთში მორჩა ეს ყველაფერი, ჩემი ძმაკაცი ვახო ჩიქოვანი მოვიდა, ამაყენა და ჩამსვა მანქანაშიო. რომ მოვდიოდით ავტობანზე, მე ძილბურანში ვიყავი, უცებ მანქანა გაჩერდა, ყველა გადახტნენ მანქანიდან, გარბოდნენ, მეც გავეკიდე, ავარია მეგონაო. დავეწიე და ვეკითხები რა ხდებაო, გადავირბინეთ შუა გაზონი და იქ, რომ მივირბინეთ, ბიჭები აღარ იყვნენ, დაიმალნენო, ანუ რომ დაინახეს, რომ მივრბოდით, დაიმალნენო.

ვსო, მე იქ გავჩერდი, მოვიდნენ ბიჭები, მითხრეს, წადი შენ მანქანა მოიყვანე და ჩვენ ამათ ვნახავთ აქ, თუ არიანო. წავედი, მანქანა მოვიყვანე და ამ დროს უკვე ის ბიჭი (გურამ ამირხანაშვილი) ჰყავთ ერთ-ერთი ნაპოვნი, ბუჩქებიდან ამიყვანესო. ამოდი, ნუ გეშინია, არაფერს არ დაგიშავებთ კარგი ხალხი ვართო. ჩავისვით მანქანაში და ვუთხარით, რომ თუ გინდა აქ დარჩი, მოძებნე შენი მეგობარი და ერთად წაგიყვანთ, თუ გინდა ჩვენ მოგეხმარებით მოძებნაშიო. შეშინებული იყო ეს ბიჭი და უთქვამს, არა, წამიყვანეთ, ჩემი ძმაკაცი თვითონ მიხედავს თავის თავსო. გვითხრა, დიდუბეში დამტოვეთო.

გიორგი შაქარაშვილი ჩემს ბიჭს არ უნახავს, პირველად ნახა ამ ბიჭის სურათი და აუტყდა ტირილი, როგორ მოკვდა ჩვენ გამო ეს ბიჭიო, – განაცხადა დაკავებული არასრულწლოვნის მამამ თამაზ ხამასურიძემ „კურიერთან“ საუბრისას.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „თავდაცვის ძალებში შეფმზარეულების გადამზადება დავიწყეთ“

თავდაცვის სამინისტროში შეფმზარეულების გადამზადება დაიწყო.

ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ფეისბუქში დაწერა:

„თავდაცვის ძალებში შეფმზარეულების გადამზადება დავიწყეთ.

პროექტი თავდაცვის ძალების მზარეულების გადამზადებას და მათი პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლებას ისახავს მიზნად. შედეგად ქართველი სამხედროების კვების მენიუ კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდება და ხარისხი გაუმჯობესდება.

თავდაცვის ძალების მზარეულებს მასტერკლასებს საქართველოში ცნობილი შეფმზარეულები – ლევან კობიაშვილი, ლუკა ნაჭყებია, მანუელ ფაუნდეს ბარანდა და მაია კაციაშვილი ჩაუტარებენ. პროექტის მონაწილეები ქართული ჯარის კვების რაციონის გამრავალფეროვნებაზეც იმუშავებენ და მენიუს ახალ კერძებს შემატებენ

პროექტი საქართველოს კულინართა ფედერაციის ჩართულობით ხორციელდება.“

# სალომე სამადაშვილი: „გახარია აგდებულად იმიტომ გველაპარაკებოდა, რომ პასუხები არ ჰქონდა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ხვებზე პასუხის არგაცემით ცდილობენ თავის არიდებას ამ საკითხთან მიმართებით.

– აშშ-ის ეროვნული თავდაცვის აქტის შესწორების მიხედვით საქართველოსთან თანამშრომლობა იმ შემთხვევაში გაგრძელდება თუ ქვეყანა პირობებს დაიცავს. ცვლილება სენატის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარეს, ჯეიმს რიშს ეკუთვნის. რა ტიპის გზავნილია ეს და რა ტიპის გაფრთხილებას ხედავთ?

– ის შესწორება, რაც 26 ივნისს მოახდინა სენატორმა რიშმა, არის მკაცრი გაფრთხილება, შეიძლება ითქვას, რომ მეგობრული გაფრთხილება, რომ თუ ხელისუფლება არ შეასრულებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც მნიშვნელოვანია დემოკრატიული ღირებულებების თვალსაზრისით, ეს საფრთხეს შეუქმნის სტრატეგიულ ურთიერთობებს, მათ შორის თავდაცვის სფეროში დაფინანსების საკითხს.

ახლა ბურთი არის „ქართული ოცნების“ მოედანზე და მას შეუძლია ადეკვატური პასუხი გასცეს თავისი მოქმედებებით. ეს შეიძლება შეიცვალოს ან გამკაცრდეს, იმის მიხედვით თუ როგორ მოიქცევა საქართველოს ხელისუფლება უახლოეს პერიოდში.

– კონკრეტულად რა თვალსაზრისით? პირველ რიგში რა მიმართულებით უნდა გადადგას ნაბიჯები?

– კონკრეტულად მითითებულია, რა უნდა შესრულდეს. ეს არის 8 მარტის შეთანხმება. მათ შორის ეს არის გიორგი რურუას გათავისუფლებასთან დაკავშირებით შეთანხმება. ასევე ეს ეხება ეუთოს რეკომენდაციების შესრულებას.

ამ დოკუმენტში საუბარი არის ვრცლად როგორც გავრილოვის ღამეზე და შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე, ასევე 8 მარტის შეთანხმებაზე და აღნიშნულია, რომ ამ შეთანხმების ნაწილია პოლიტპატიმარი გიორგი რურუას გათავისუფლება საპატიმროდან და შესაბამისად ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს რომ არ არსებობს არანაირი ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ 8 მარტის შეთანხმების პირობით გიორგი რურუა უნდა გათავისუფლდეს.

მე ვერ წარმომიდგენია უფრო ძლიერი პოლიტიკური გზავნილი ჩვენი მთავარი სტრატეგიული მოკავშირისგან, ვიდრე მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივის დაყენება სენატში, რომელიც გვეუბნება, რომ დღეს 8 მარტის შეთანხმების ჩავარდნა პირდაპირ უქმნის საფრთხეს ჩვენ სტრატეგიულ ურთიერთობებს. მოვუწოდებ „ოცნებას“ და ივანიშვილს, ან თქვენ შეასრულებთ 8 მარტის შეთანხმებას, გაათავისუფლებთ გიორგი რურუას და მოგვცემთ შესაძლებლობას მხარი დაუჭიროთ საკონსტიტუციო ცვლილებებს, ან თქვენ ღიად აცხადებთ, რომ მათ შორის სამხედრო მიმართულებით თანამშრომლობა აშშ-თან აღარ არის პრიორიტეტული.

# „გახარია ერთ-ერთი უარყოფითი პერსონაჟია ქართულ პოლიტიკაში“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

სივრცეში წავა და მოვა პარლამენტის თავმჯდომარედ.

***– არჩილ, ბოლო პერიოდში ძალიან ბევრს საუბრობენ კახი კალაძეზე, რომ მან ძალიან დიდი ნეგატივი დააგროვა საზოგადოებაში. რა მოხდა, რა შეიცვალა, ის ხომ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახე იყო „ოცნებაში“?***

– ჩემი აზრით, კალაძეს, ჯერჯერობით თავის სტატუს კვო აქვს, მაგრამ რაც ბოლო პერიოდში მან გააკეთა, თუნდაც იგივე მედიასთან მიმართებაში, მე რაღაცნაირად გავიფიქრე, რომ ეს შიდა საბოტაჟის რეჟიმში ხომ არ არის-თქო?!

***– ანუ?***

– ხომ არ დაევალა მას „ქართული ოცნებისგან“, ან თავად ხომ არ ცდილობს რაღაცა დაუმტკიცოს ამით ბიძინა ივანიშვილს. ეჭვი გამიჩინა იმან, რომ კალაძე, მეტ-ნაკლებად ამ პროცესებში ერკვევა და ის ყოველთვის ცდილობდა ხოლმე, რომ მედიის კეთილგანწყობა არ დაეკარგა. ზოგადად მან კარგად იცის მედიის ფასი. ამიტომაც გამიკვირდა.

***– მაშინ რა შეიცვალა?***

– სწორედ ამიტომ ვიფიქრე, რომ ეს რაღაც შიდა პროცესის შედეგია. ის გახდა იძულებული, რომ მსგავსი რამ გაეკეთებინა.

***– რატომ, რამე აქვს ივანიშვილისთვის დასამტკიცებელი?***

– როგორ ჩანს. თუ ამ ვერსიას მივყვებით, ასეა.

***– ბოლო პერიოდია, ასევე ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ სერიოზული დაპირისპირებაა მასა და ივანიშვილს შორის.***

– ივანიშვილის რეალური, თეორიული კონკურენტი, რაღაც მომენტში, მისი ურთიერთობიდან გამომდინარე, კალაძე უფრო იყო ხოლმე. კალაძის რესურსები, თვალსაწიერი და ასე შემდეგ, პიროვნული, იმხელა არ არის, რომ რაღაცა დიდ თამაშზე წავიდეს, მაგრამ კალაძე არის ერთადერთი ადამიანი, ვინც ივანიშვილთან, თავიდანვე, დაქვემდებარების კი არა, პარტნიორობის რეჟიმში დაიწყო ურთიერთობა. კალაძეს ჰქონდა თავისი ბიზნესი, თავისი კომუნიკაციები, ის კი არ დაუქირავებიათ, ისინი გაერთიანდნენ. ასეც შეგვიძლია ვთქვათ ივანიშვილთან მიმართებაში. ამიტომ ხშირად ვფიქრობ, რომ კალაძის წინააღმდეგ ხშირად, შესაძლოა, სულაც ივანიშვილი იყოს ხოლმე.

***– რატომ?***

– გახარიასგან განსხვავებით, კალაძეს ყოველთვის ჰქონდა იმისი თეორიული შესაძლებლობა, რომ ივანიშვილის რეიტინგისთვის გაესწრო. ახლა რამდენად აქვს, ეს სხვა თემაა. როდესაც გადაწყდა კალაძის მერობა, მე მაშინვე ვთქვი, რომ ამით კალაძეს ნაღმზე უშვებენ და მიკვირს, რატომ თანხმება-თქო. ძნელია მასობრივად კმაყოფილი დატოვო ადამიანები. მისმა დაქირავებულმა ჯგუფებმა რაც არ უნდა წერონ და იძახონ, თბილისს ასეთი მერი ჯერ არ ჰყოლიაო, საზოგადოება საკუთარ ტყავზე გამოცდის მის „სიკეთეებს“. კალაძის მიმართ ეს უარყოფითი კამპანიები დრო და დრო სულ იყო, თუმცა თავად კალაძეც ხელს უწყობდა ამას.

***– 2020-ის არჩევნების შემდეგ კალაძეს ხომ არ ვიხილავთ „ოცნების“ მიღმა? ზოგადად ოპოზიციაშიც ხომ არ მოიაზრებთ?***

– მე ვფიქრობ, რომ კალაძის პროცესებს მიღმა დატოვება „ოცნებას“ არ უნდა აწყობდეს, რადგან კალაძეს ყავს საკუთარი მხარდამჭერთა ჯგუფები, მიუხდავად ყველაფრისა. „ქართული ოცნების“ ელექტორატი ისედაც არ არის იმხელა, რომ კიდევ კალაძე გამოაკლდეს თავისი მხარდამჭერებიანად. ამიტომ ვეჭვობ, რომ ახლა კალაძე ამ პროცესებს მიღმა აღმოჩნდეს. თანაც, ჯერჯერობით, ის კვლავ მერია. რაც შეეხება კალაძეს ოპოზიციაში, შეიძლება ეს გაცილებით ეფექტური იყოს, ვიდრე კალაძე ხელისუფლებაში. ამიტომ არც ამ პირობებს შეუქმნის მას ხელისუფლება.

# „გიორგი შაქარაშვილი გაექცა მოძალადეებს, რომლებმაც გურამ ამირხანაშვილს აღუკვეთეს თავისუფლება“

## საქმეზე დაკავებულ 17-ვე პირს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმეზე 17 პირის დაკავებასთან დაკავშირებით 26 ივნისს შსს-ში ბრიფინგი ჩატარდა.

მასზე ითქვა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ამ ეტაპზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დგინდება, რომ დაკავებულებმა ჩაიდინეს ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, მასში მონაწილეობა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ორი ან მეტი პირის მიმართ ჯგუფური ძალადობა.

კერძოდ: 2020 წლის 18 ივნისს, მცხეთაში, ნარეკვავის დასახლებაში სტუმრად მყოფი მოზარდების ორ ჯგუფს შორის მოხდა სიტყვიერი დაპირისპირება, რაც გადაიზარდა ფიზიკურ ძალადობაში.

ფიზიკური დაპირისპირების შემდეგ, კონფლიქტში მონაწილე ერთი ჯგუფი დაბრუნდა თბილისში, ანგარიშსწორების მიზნით დააორგანიზა ჯგუფური ძალადობა და ავტომანქანებით გაემგზავრა მცხეთაში.

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზაზე, ნარეკვავის დასახლების მიმდებარედ, ორგანიზებული ჯგუფის წევრები თავს დაესხნენ გზაზე მიმავალ მოზარდებს და მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, რა დროსაც გიორგი შაქარაშვილი და მისი თანმხლები პირები, ძალადობის თავიდან აცილების მიზნით, მდინარე არაგვის მიმართულებით გაიქცნენ.

ორგანიზებული ჯგუფის წევრები, ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით, დაედევნენ გაქცეულებს, რომლებიც მიიმალნენ მდინარის კალაპოტის მიმდებარე ტერიტორიაზე. ანგარიშსწორების მიზნით, მოძალადეებმა განაგრძეს გიორგი შაქარაშვილისა და მისი თანმხლები პირების დევნა, რა დროსაც გიორგი შაქარაშვილი დევნისგან თავის დაღწევის მიზნით გაიქცა მდინარის კალაპოტის მიმართულებით, ხოლო მისი მეგობარი, 2001 წელს დაბადებული გურამ ამირხანაშვილი იპოვეს და უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება.

გიორგი შაქარაშვილის ცხედარი 4-დღიანი სამაშველო-სამძებრო ღონისძიებების შედეგად აღმოჩენილ იქნა მდინარე არაგვის კალაპოტში.

ვინაიდან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა დასრულებული არ არის და, შესაბამისად, უცნობია გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების მიზეზი, გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები ყველა შესაძლო ვერსიაზე. გარდაცვალების უშუალო მიზეზის დადგენის შემდგომ, შესაძლოა, შეიცვალოს საქმის კვალიფიკაცია და დამძიმდეს ბრალდება.

ჩვენ კვლავ აქტიურად ვთანამშრომლობთ გარდაცვლილის ოჯახთან და გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ დაუყოვნებლივ ვაწვდით ინფორმაციას.

საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სსკ-ის 225-ე, 143-ე და 126-ე მუხლებით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით დაკავებული არიან: ს.ჩ., ს.გ. და ი.წ.; სსკ-ის 225-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით დაკავებული არიან: ნ.ც., ლ.შ., გ.მ. და გ.ტ.; სსკ-ის 225-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით და 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დაკავებულია ვ.ჩ; სსკ-ის 225-ე მუხლის მეორე ნაწილით დაკავებული არიან: ნ.ქ., თ.ბ., ი.მ. და ნ.ჟ.; 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 225-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით კი დაკავებული არიან: ვ.მ., ა.ქ., ა.გ., ნ.რ. და ზ.ხ.

28 ივნისს მცხეთის რაიონულმა სასამართლომ 17-ვე პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

სხდომა დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა, რადგან საქმეში რამდენიმე არასრულწლოვანი ფიგურირებს.

პროკურატურა ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა, რაც სასამართლომ სრულად გაიზიარა.

ადვოკატების ნაწილი ბრალდებულების აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას, ნაწილი კი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდნენ.

– ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენს ქვეყანაში კვლავ შერჩევითი სამართალია და ისეთ ადამიანებს, რომლებიც არიან მოქმედი სპორტსმენები, უდანაშაულო ადამიანები, უწევთ იმის მტკიცება, რომ მათ ამ ტრაგედიაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღიათ.

ამის შესახებ ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმეზე ბრალდებული მორაგბეების არჩილ გაგნიძისა და ვასილ მახარაძის ადვოკატმა, ალექსანდრე კობაიძემ განაცხადა.

ადვოკატის ინფორმაციით, აღკვეთის ღონისძიების საკითხს სტრასბურის სასამართლოში გაასაჩივრებენ, ვინაიდან, არ აქვთ მოლოდინი, რომ საქართველოს სააპელაციო სასამართლო ამ გადაწყვეტილებას შეცვლის.

– მოსამართლეს ხმა უკანკალებდა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ მასზე შესაძლოა განხორციელდა ფსიქოლოგიური ან სხვაგვარი ზემოქმედება. ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენს ქვეყანაში კვლავ შერჩევითი სამართალია და ისეთ ადამიანებს, რომლებიც არიან მოქმედი სპორტსმენები, უდანაშაულო ადამიანები, უწევთ იმის მტკიცება, რომ მათ ამ ტრაგედიაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღიათ.

რა თქმა უნდა, ყველანაირ სამართლებრივ ბერკეტს გამოვიყენებთ, მათ შორის ვაპირებთ, რომ აღკვეთის ღონისძიების საკითხი გავასაჩივროთ სტრასბურის სასამართლოში და დარწმუნებული ვართ, რომ სტრასბურის სასამართლო სხვაგვარად იმსჯელებს. მე არ მაქვს იმედი, რომ თბილისის სააპელაციო კოლეგია იქნება მოწოდების სიმაღლეზე და ამ გადაწყვეტილებას შეცვლის. საზოგადოებისა და პროკურატურის ზეგავლენის ქვეშ არის მოქცეული სასამართლო და სამარცხვინოა, ასეთ მოსამართლეებს რომ ვხედავთ, – განაცხადა ალექსანდრე კობაიძემ.

სასამართლოს გადაწყვეტილებას ვახტანგ ჩიქოვანისა და ნიკა ჟვანიას ადვოკატი არჩილ ბერიანიძეც გაასაჩივრებს.

ადვოკატის თქმით, მისი კლიენტების დაკავების არავითარი საფუძველი არ არსებობს.

– პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას გავასაჩივრებთ, რადგან ჩვენი პოზიცია იგივეა, საქმეში არ არსებობს ფორმალური და ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც დაკავებულ პირებს უნდა შეფარდებოდათ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა.

ჩვენი არგუმენტები გახლავთ ის, რომ საქმეში საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს. გარდა ამისა, ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი პირები მაქსიმალურად თანამშრომლობენ გამოძიებასთან, მათ ინტერესში შედიოდა აღნიშნულ საქმეზე სიმართლის დადგენა. იმის გათვალისწინებით, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირების დაკავების საფუძველი არ იყო, მათი წინარე ქმედებებიდან გამომდინარე, დაკავებაც და პატიმრობაც არის უკანონო, – დასძინა არჩილ ბერიანიძემ.



* * *

27 ივნისს გიორგი შაქარაშვილის საქმეზე პროკურატურამ განცხადება და ვიდეოკადრები გაავრცელა.

„გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 18 ივნისს, დაახლოებით 23:00 საათზე, ქალაქ მცხეთაში, სამხედროს ქუჩა №76-ში არსებული საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, შელაპარაკების ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, ს.გ-მ ი.წ-სთან და ს.ჩ-სთან ერთად ჯგუფურად ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ნ.ხ-ს და ვ.ჩ-ს, რომელთაც აღნიშნული ქმედებების შედეგად მიიღეს ჯანმრთელობის დაზიანებები და განიცადეს ფიზიკური ტკივილი.

2020 წლის 18 ივნისს, გ.მ-მ, ლ.შ-სთან, ვ.ჩ-სთან, ნ.ც-სთან და გ.ტ-სთან ერთად ორგანიზება გაუწია ჯგუფურ მოქმედებას, რომელსაც თან ახლდა ძალადობა. კერძოდ, ლ.შ-მ, გ.მ-მ, გ.ტ-მ, ნ.ც-მ, მეგობრების ცემის გამო, შურისძიების მოტივით, ჩხუბში მონაწილე – მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლებზე ძალადობის მიზნით, გადაწყვიტეს დამატებით სხვა პირების მობილიზება. ამისთვის, ვ.ჩ. და გ.ტ. თავიანთი ავტომობილებით, თანმხლებ პირებთან ერთად, მცხეთის მუნიციპალიტეტიდან წავიდნენ ქალაქ თბილისში, ხოლო გ.მ და ლ.შ. დარჩნენ ადგილზე, რათა პერიოდულად მიეწოდებინათ ინფორმაცია მოწინააღმდეგე მხარის ადგილსამყოფელის შესახებ.

თავის მხრივ ნ.ც-მ, ვ.ჩ-მ და გ.ტ-მ მობილიზება გაუწიეს სხვა პირების შეკრებას, რის გამოც ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მიაკითხეს ვ.მ-ს, ა.გ-ს, ნ.რ-ს და ნ.ჟ-ს და უზრუნველყვეს მათი მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადაადგილება. კერძოდ, ვ.ჩ-ს ტოიოტა ქამრის მარკის ავტომობილში, რომელსაც მართავდა ვ.მ., გადანაწილდნენ თავად ვ.ჩ, ვ.მ, ა.ქ, ზ.ხ, ა.გ. და ნ.რ., ხოლო გ.ტ. ავტომობილში – თავად გ.ტ, ნ.ც., ნ.ქ., თ.ბ., ი.მ. და ნ.ჟ., რომელიც შეიარაღდა რკინის ხელკეტით. აღნიშნული პირები 2020 წლის 19 ივნისს, დაახლოებით 00:30 საათზე, ქალაქ თბილისიდან გაემართნენ მცხეთის მუნიციპალიტეტის მიმართულებით, სადაც მათ ელოდებოდნენ გ.მ. და ლ.შ., რომლებიც თავის მხრივ აწვდიდნენ ინფორმაციას ჯგუფის სხვა წევრებს ძალადობის ჩასადენად დაზარალებულების ადგილსამყოფელის თაობაზე.

2020 წლის 19 ივნისს, დაახლოებით 00:45 საათზე, მცხეთის მუნიციპალიტეტში მდინარე არაგვის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ გიორგი შაქარაშვილს, გ.ა.-ს, გ.ქ.-ს, ვ.ა.-ს, ი.ბ.-ს და კ.ღ.-ს თავს დაესხნენ ნ.ც., გ.ტ., ნ.ქ., თ.ბ., ი.მ. და რკინის ხელკეტით შეიარაღებული ნ.ჟ., რომლებსაც ასევე შეუერთდნენ გ.მ. და ლ.შ. და ფიზიკურად გაუსწორდნენ გ.ქ.-ს, კ.ღ.-ს და ვ.ა.-ს, რა დროსაც კ.ღ. გაიქცა თბილისის მიმართულებით, ი.ბ. დაიმალა გზის პირას არსებულ შენობაში, ხოლო გიორგი შაქარაშვილი, გ.ა. და ვ.ა. გაიქცნენ დასავლეთის მიმართულებით.

თავდამსხმელების წასვლის შემდეგ გიორგი შაქარაშვილი, გ.ა. და ვ.ა. დაბრუნდნენ შემთხვევის ადგილზე, დაეხმარნენ ნაცემ გ.ქ.-ს და ცდილობდნენ ქალაქ თბილისში დაბრუნებას. დაახლოებით 00:50 საათზე, მათ თავს დაესხნენ ვ.ჩ., ვ.მ., ა.ქ., ზ.ხ., ა.გ. და ნ.რ., რომლებმაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს გიორგი შაქარაშვილს, გ.ა.-ს, გ.ქ.-ს და ვ.ა.-ს და ცდილობდნენ მათზე ძალადობას. საფრთხის თავიდან არიდების მიზნით, გიორგი შაქარაშვილი, გ.ა., გ.ქ. და ვ.ა. გაიქცნენ საავტომობილო გზაზე და გადავიდნენ გზის საპირისპირო მიმართულებაზე, შემდგომ კი გზიდან მარჯვენა მხარეს არსებულ ბუჩქნარისკენ. გ.ა., ვ.ა. და გ.ქ. დაიმალნენ მდინარე არაგვის მიმდებარედ, ბუჩქნარში, ხოლო გიორგი შაქარაშვილი გაიქცა მდინარე არაგვის მიმართულებით.

ვ.მ.-მ, ვ.ჩ.-მ, ა.ქ.-მ, ზ.ხ.-მ, ა.გ.-მ და ნ.რ.-მ დაიწყეს მიმალულების ძებნა და იპოვეს ბუჩქებში დამალული გ.ა., რომელსაც უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება – მისი ნების საწინააღმდეგოდ ჩასვეს ავტომობილის უკანა სავარძელზე, დაუსხდნენ ორივე მხრიდან და მისი ნების საწინააღმდეგოდ წაიყვანეს ქალაქ თბილისში, სადაც ავტომობილიდან ჩამოსვეს მეტროსადგურ დიდუბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ „ლუკოილის“ ფირმის ავტოგასამართ სადგურთან.

2020 წლის 22 ივნისს მდინარე არაგვში აღმოჩენილი იქნა გიორგი შაქარაშვილის ცხედარი.

მომხდარი ცემის და თავდასხმის ფაქტები დასტურდება შემთხვევის ადგილზე მყოფი პირების გამოკითხვებით, რომლებიც დეტალურად აღწერენ კონფლიქტის დაწყების მიზეზებს და მასში მონაწილე მხარეებს მიუთითებენ დანაშაულის ჩამდენ პირებზე. აღნიშნული დასტურდება ასევე ვიდეო-სათვალთვალო კამერების ჩანაწერებით და მოწმეთა მონაწილეობით ჩატარებული აღნიშნული ვიდეოჩანაწერების დათვალიერების ოქმებით.

ვიდეო-სათვალთვალო ჩანაწერებით დგინდება, თუ როგორ აყენებენ ს.გ., ი.წ. და ს.ჩ. ფიზიკურ შეურაცხყოფას დაზარალებულებს ნ.ხ-ს და ვ.ჩ-ს, აღნიშნული ვიდეოჩანაწერებით ასევე დგინდება, რომ გ.მ., ლ.შ., ნ.ც., გ.ტ., ნ.ქ., თ.ბ., ი.მ., ვ.ჩ., ვ.მ., ა.ქ., ზ.ხ., ა.გ., ნ.რ. და ნ.ჟ. მცხეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე არაგვის ხიდის მიმდებარედ როგორ დაესხნენ თავს გიორგი შაქარაშვილს, გ.ა.-ს, გ.ქ.-ს, ვ.ა.-ს, ი.ბ.-ს და კ.ღ.-ს, რა დროსაც კ.ღ-ზე, გ.ქ.-ზე და ვ.ა-ზე განახორციელეს ძალადობა, რის შემდეგაც უკვე ნაცემ კ.ღ-ს, გ.ქ.-ს და ვ.ა-ს და ასევე მათთან ერთად გაქცეულ გიორგი შაქარაშვილს და გ.ა.-ს გამოედევნენ ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით. ვიდეოჩანაწერებით ასევე დასტურდება მცხეთიდან წამოყვანილი, თავისუფლებააღკვეთილი გ.ა.-ს თბილისში, დიდუბის რაიონში დატოვების ფაქტი, რა დროსაც მას არ ჰქონდა თავისუფალი გადაადგილების საშუალება. მცხეთაში, დაზარალებულთა თავდასხმის ადგილიდან ამოღებულია ლითონის ხელკეტი, ასევე თავდასხმამდე გადაღებული ვიდეოკადრები“ – ნათქვამია განცხადებაში.

## „გიგა ტატიაშვილი შოკირებულია, რომ დააკავეს, შაქარაშვილი ვინაა, არ იცის, 2 მეტრიანი 140 კილო კაცი სრულ კოლაფსშია“

ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით დაკავებული ძიუდოისტი გიგა ტატიაშვილი ბრალს არ აღიარებს.

აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სპორტსმენის ადვოკატმა გიორგი ყიფშიძემ განუცხადა. მისივე განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ტატიაშვილი ბრალს არ აღიარებს, ის გამოძიებასთან თანამშრომლობს და საქმეს ნათელი სწორად მისი ჩვენების საფუძველზე მოეფინა.

– ბრალის ფორმულირება უცნაურია, ედავებიან ძალადობის ორგანიზებას და მასში მონაწილეობას. ბრალს არ ეთანხმება და არ აღიარებს, რადგან ეს ბრალი რეალობასთან შეუთავსებელია. ყველა მოწმე ცალსახად ამბობს, რომ ეს ადამიანი არაფერ შუაში არ არის, ხელი არ დაუკარებია არავისთვის და ზედმეტი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს არავის მიმართ, ეს ყველაფერი საქმეში მტკიცებულების სახით არის.

128 გბ-ია ვიდეომასალა, ფაქტობრივად, 80-90% გადაღებულია, რადგან ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი თითქმის ყველა არეალში ხვდებოდა კამერის ქვეშ. არსად მსგავსი ფაქტი, რომ ვინმეს მიუახლოვდა, ისიც არ არსებობს. აბსოლუტურად ყველგან განცალკევებით დგას და არ მოქმედებს. ბრალი უმოქმედობაში რომ დაედოთ, ვიღაც რომ ჩხუბობდა, შენ რატომ არ უშველეო, ამას უფრო გავიგებდი, ვიდრე ამ მუხლს, რომლითაც ბრალი წაუყენეს, – განაცხადა ყიფშიძემ.

მისივე განმარტებით, ტატიაშვილი ვერცხლისფერ „მერსედესს“ მართავდა, რომელიც მცხეთა-მთიანეთის პოლიციის წინ დალუქულ მდგომარეობაშია. ადვოკატის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს მცხეთიდან კლასელების წამოყვანა სთხოვეს. კონკრეტულად, თუ ვინ სთხოვა სპორტსმენს დახმარება, ეს ადვოკატისთვის უცნობია.

– ვერცხლისფერი „მერსედესის“ მარკის ავტომობილის საჭესთან იჯდა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი, მას მცხეთიდან თანაკლასელების ჩამოყვანა სთხოვეს და ამ მოტივით ჩაიყვანეს იქ და მერე უკვე შეეჩხა ამ კონფლიქტურ სიტუაციას. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი დაბადების დღეზე არ იმყოფებოდა, მას ჯერ დაურეკეს და მერე „ნახალოვკაში“ თავისივე თანაკლასელებმა და კიდევ უცნობებმა მიაკითხეს და უთხრეს, რომ მათი მეგობრები მცხეთიდან იყვნენ ჩამოსაყვანი.

იქ მოსულს დაძაბულობა დახვდა, ეს მანქანიდან გადმოვიდა და არსებული სიტუაციიდან 10-15 მეტრში იდგა. ის მხოლოდ ხიდის ეპიზოდს შეესწრო. ე.წ. ოქროს მოწმემ ამოცნობისას ჩემი დაცვის ქვეშ მყოფზე თქვა, ეს ის ბიჭია, რომელიც მანქანიდან პირველი გადმოვიდა და გვერდით დადგა, არანაირი შეხება მას არ ჰქონია ჩვენთან, არც მოგვკარებიაო. ყველაზე უცნაური იცით რა არის? ამ სისხლის სამართლის საქმით იმის მცდელობა კი არ არის, გაარკვიონ, გიორგი შაქარაშვილს რა მოუვიდა.

სინამდვილეში, ამ სისხლის სამართლის საქმით ისჯება 17 აბსოლუტურად სხვა ადამიანი და შაქარაშვილის ცემა ცალკე გამდგარია. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირველივე წუთიდან პოლიციას მაქსიმალურ ინფორმაციას აწვდიდა, ყველა საკითხთან დაკავშირებით, მისი ჩვენებებით და ინფორმაციით მოეფინა ამ ყველაფერს სინათლე. რადგან ბრალს არ აღიარებს, არ ნიშნავს იმას, რომ გამოძიებასთან არ თანამშრომლობს, – აღნიშნა ადვოკატმა ყიფშიძემ.

მისივე განმარტებით, ბრალდებული სპორტსმენი ცუდ მდგომარეობაშია.

– გაოგნებული ვიყავი, რომ შევხვდი, ორმეტრიანი, 140 კილო კაცი ისეთ მდგომარეობაშია, ვერ ლაპარაკობს, სრული კოლაფსი აქვს, ცუდადაა, შოკირებულია, რომ დააკავეს. მას საერთოდ წარმოდგენა არ აქვს, ვინ არის შაქარაშვილი. ამომცნობმა მოწმემაც თქვა, ესენი რომ მოვიდნენ, გიორგი შაქარაშვილი ჩვენთან ერთად არ იყოო, – დასძინა გიორგი ყიფშიძემ.

## ვლადიმერ ბორცვაძე: „თუ დადასტურდება რაიმე სახის გადაცდომა ან იძულებების ფაქტი სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან, ამ ქმედებას მიეცემა შესაბამისი შეფასება“

– თუ დადასტურდება რაიმე სახის გადაცდომა ან იძულებების ფაქტი სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან, ცალსახად ამ ქმედებას მიეცემა შესაბამისი შეფასება. იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი ფაქტი არ დადასტურდება, ბუნებრივია, ამ განცხადების ავტორს მოუწევს კითხვებზე პასუხის გაცემა, თუ რა გახდა ამ განცხადების გაკეთების საფუძველი და არის თუ არა ეს ცრუ დასმენა.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ ბორცვაძემ გიორგი შაქარაშვილის საქმეზე დაკავებული პირის ადვოკატის განცხადების კომენტირებისას განაცხადა.

– მე როგორც ვიცი, ეს განცხადება შეიცავს შემდეგ შინაარსს, რომ ფიზიკური ძალადობა და ანგარიშსწორება განხორციელდა საგამოძიებო მოქმედების დროს. ეჭვს აჩენს აღნიშნული განცხადება იმ კუთხით, რომ თუ საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისას და მას შემდეგ განხორციელდა რაიმე სახის იძულება ან ძალადობა, რატომ გაკეთდა აღნიშნული განცხადება საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შემდგომ და ეს განცხადება გაკეთდა ამ ადამიანის დაკავების შემდეგ.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს განცხადება, რა თქმა უნდა, შესწავლას საჭიროებს და უნდა მოხდეს ამ ფაქტების და გარემოებების შესწავლა. თუ დადასტურდება რაიმე სახის გადაცდომა ან იძულებების ფაქტი სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან, ცალსახად ამ ქმედებას მიეცემა შესაბამისი შეფასება. იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი ფაქტი არ დადასტურდება, ბუნებრივია, ამ განცხადების ავტორს მოუწევს კითხვებზე პასუხის გაცემა, თუ რა გახდა ამ განცხადების გაკეთების საფუძველი და არის თუ არა ეს ცრუ დასმენა, – განაცხადა ვლადიმერ ბორცვაძემ.

# ირლანდიაში კოალიციური მთავრობა შეიქმნა

ირლანდიაში სამი პარტიის შეთანხმების შედეგად კოალიციური მთავრობა ჩამოყალიბდა.

მას სათავეში ჩაუდგა მარტინი.

– ჩემთვის დიდი პატივია, რომ ირლანდიის პრემიერი ვიქნები, – თქვა მარტინმა.

# პარიზში ორლის აეროპორტი გაიხსნა

## პირველ ბორტს წყალი გადაასხეს

პარიზის ორლის აეროპორტი, თითქმის სამთვიანი პაუზის შემდეგ, 26 ივნისს გაიხსნა.



საზეიმო განწყობის გამოხატვის ნიშნად, თვითმფრინავი, რომელმაც აეროპორტიდან დილით პირველ რეისი შეასრულა, აფრენამდე წყლის ჭავლით დაასველეს.

ორლის აეროპორტიდან ამ ეტაპზე რეისები 25 მიმართულებით შესრულდება.

კორონავირუსის ეპიდემიის გამო აეროპორტი 31 მარტს დაიხურა.

# ტრამპი ძეგლებს იცავს



აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა ხელი მოაწერა ბრძანებას ძეგლების დაცვის შესახებ.

ბრძანება ითვალისწინებს სასჯელს ძეგლების შეურაცხყოფა-დამსხვრევისათვის, რასაც აშშ-ში გამოსვლების დროს ჰქონდა ადგილი.

ბრძანებაში ნათქვამია, რომ ძეგლების მსხვრევა-შეურაცხყოფა ანარქისტული და მემარცხენე-რადიკალური დაჯგუფებების ნახელავია.

აშშ-ის სახელმწიფო სტრუქტურები მოვალენი არიან, ეს ვანდალიზმი არ დაუშვან.

# ბარსელონაში კოვიდ 19-ის კვალი 1 წლისა და 3 თვის წინანდელ წყლის ნიმუშებში იპოვეს



## მსგავსი შედეგებია იტალიაშიც

ესპანელმა ვირუსოლოგებმა კოვიდ 19-ის კვალი აღმოაჩინეს ბარსელონას გამდინარე წყლის ნიმუშში, რომელიც 2019 წლის მარტშია აღებული ანუ ვირუსის ოფიციალურად გავრცელებამდე 9 თვით ადრე.

ამის შესახებ განცხადება ბარსელონას უნივერსიტეტში 26 ივნისს გააკეთეს.

ეს ფაქტი შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელება გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე ამას ფიქრობენ.

თავდაპირველად უნივერსიტეტის მკვლევარებმა კოვიდ-19-ის კვალი 2020-ის 15 იანვრით დათარიღებულ, ანუ ინფიცირების პირველი შემთხვევის ოფიციალურ დადასტურებამდე 41 დღით ადრინდელ ნიმუშებში იპოვეს.

ამის შემდეგ მათ 2018-ის იანვრიდან 2019-ის დეკემბრამდე აღებული ნიმუშები შეამოწმეს და კოვიდ 19-ის კვალი 2019-ის 12 მარტს აღებულ ნიმუშში იპოვეს.

– სარს-კოვ-2-ის დონე ამ ნიმუშებში იყო დაბალი, მაგრამ დადებითი, – განაცხადა კვლევების ხელმძღვანელმა ალბერტ ბოშმა.

ესპანეთის ჯანდაცვის წარმომადგენელმა ხუან რამონ ვილალბიმ აღნიშნა, რომ დასკვნების გამოტანა ჯერ ნაადრევია.

– როდესაც მხოლოდ ერთი მონაცემი გაქვს, ყოველთვის უფრო მეტი მტკიცებულების შეკრება გჭირდება, რათა დარწმუნდე იმაში, რომ ლაბორატორიულ კვლევებსა და მეთოდოლოგიაში შეცდომა არაა დაშვებული, – განაცხადა მან.

აქ შეცდომა არაა გამორიცხული, ვინაიდან ვირუსი სხვა რესპირატორულ ინფექციებს ძალიან ჰგავს.

– მაგრამ ცხადია, რომ შედეგები ძალიან საინტერესოა, – აღნიშნა ვილალბიმ.

მსგავსი მონაცემები აქვთ იტალიაშიც.

მილანისა და ტურინის გამდინარე წყლების ნიმუშების ანალიზი კოვიდ 19-ის კვალს უკვე 2019-ის დეკემბერში უჩვენებს.

– 2 სხვადასხვა მეთოდით 2 სხვადასხვა ლაბორატორიაში მიღებული შედეგები აჩვენებს სარს-კოვ-2-ის კვალს მილანსა და ტურინში 2019-ის 18 დეკემბერს, ბოლონიაში კი – 2020-ის 29 იანვარს.

ეს განცხადება იტალიის ჯანდაცვის წარმომადგენელმა ჯუზეპინა ლა როსამ გააკეთა.

# ჰონგ-კონგში აქციაზე პოლიციამ ათობით დემონსტრანტი დააკავა

ჰონგ-კონგში გამართულ მორიგ საპროტესტო აქციაზე პოლიციამ ათობით ადამიანი დააკავა.

მანამდე უსაფრთხოების ახალი კანონის გასაპროტესტებლად მშვიდობიან მსვლელობაზე ასობით ადამიანი შეიკრიბა.

მიუხედავად იმისა, რომ „მდუმარე აქცია" იყო დაგეგმილი, პოლიციის მისამართით მაინც ისმოდა სხვადასხვა შეძახილები, შემდგომ კი აქციაზე ჩხუბი ატყდა, რომლის დროსაც პოლიციამ დემონსტრანტების ნაწილის დასამორჩილებლად ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

ჰონგ-კონგის პოლიციამ განაცხადა, რომ 53 ადამიანი დააკავეს და ბრალი წაუყენეს. მანამდე პროტესტის მონაწილეებმა ქუჩების გადაკეტვა სცადეს.

შეგახსენებთ, 28 მაისს ჩინეთის პარლამენტმა ჰონგ-კონგისთვის გათვალისწინებული უსაფრთხოების ახალი კანონი დაამტკიცა.

კანონმდებლობის მოწინააღმდეგეები აცხადებენ, რომ უსაფრთხოების ახალი კანონი, სავარაუდოდ, ჰონგ-კონგის უნიკალური სტატუსის დასასრულს მოასწავებს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

საზოგადოება

# გაიოზ კანდელაკი იუბილარია

თბილისის ბიგ ბენდის დამაარსებელი გაიოზ კანდელაკი იუბილარია, მას 75 წელი შეუსრულდა. პანდემიის გამო, იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიებები გადადებულია, თუმცა იუბილარმა უამრავი გულითადი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღო.



მთელი ცხოვრება გაიოზ კანდელაკმა ქართულ კულტურას შეალია. მის სახელთან არის დაკავშირებული პირველი და უკანასკნელი როკ ფესტივალის ჩატარება 1980 წელს, რომელმაც საბჭოთა კავშირში უდიდესი რეზონანსი გამოიწვია.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე, ხელოვნების ქურუმი და თბილისის ჯაზფესტივალის დამაარსებელი 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მარჯანიშვილის თეატრს. უკვე 24 წელია მის მიერ დაარსებული მერიის ორკესტრი – თბილისის ბიგ ბენდი უდიდესი წარმატებით მოღვაწეობს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

გაიოზ კანდელაკს 75 წლის იუბილე თბილისი ბიგ ბენდის სამხატვრო ხელმძღვანელმა გივი გაჩეჩილაძემ საჯაროდ მიულოცა:

– მინდა მას მადლობა გადავუხადო იმ გაწეული შრომისათვის, რაც მან გააკეთა და აკეთებს არა მარტო სრულიად საქართველოს მუსიკალურ და თეატრალური ხელოვნებისათვის, ასევე თბილისის ბიგბენდისათვის და პირადად ჩემთვის, რამეთუ მე მხოლოდ მხატვრული ნაწილი „მაბარია" და ისიც საკითხავია, რა უფრო რთულია ჩვენ დროში, მუსიკის შექმნა თუ მისი შეფუთვა, ამოქმედება და მსმენელებამდე მიყვანა.

თუ გავიხსენებთ, რამდენი ნიჭიერი მწერალი, მხატვარი და მუსიკოსი ვერ მოესწრო აღიარებას იმის გამო, რომ დღევანდელი ტერმინოლოგიით „პროდიუსერი" არ ჰყავდა, ადვილი გასაგები იქნება გაიოზის უდიდესი ღვაწლი შემოქმედი ადამიანებისათვის და, საერთო ჯამში, ქვეყნის კულტურის, თუ გნებავთ, ქვეყნის სახის წარმოჩენაში საერთაშორისო მასშტაბით.

ჩვენ იმდენი წლები ვართ ერთად და იმდენი სასიკეთო საქმეები მახსოვს გაიოზის გაკეთებული, რომ მათი ჩამოთვლა შორს წამიყვანს. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, რომ კორონას პირობებში საზეიმოდ ვერ აღვნიშნეთ მისი იუბილე. კიდევ ერთხელ გილოცავ გაიოზ. დიდხანს იცოცხლე ყოვლად სასიკეთოდ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

სპორტი

# შერმადინი ხუთეულშია, მაკფადენი – ნახევარფინალში

თად მაკფადენის სან პაბლო ბურგოსი ესპანეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა. საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრის გუნდმა გმირობა ჩაიდინა და კორონავირუსამდე ცხრილში მე-10 ადგილზე მყოფმა, ფინალურ ფაზაში ოთხეულში დაიბევა ადგილი.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის შეწყვეტამდე საუკეთესო 12 გუნდი ფინალურ ფაზაში 2 ჯგუფში განაწილდა და ნახევარფინალის საგზურებისთვის იბრძოდა, რომლებიც თითოეული ჯგუფის 2 საუკეთესო გუნდს ერგო. ა ჯგუფში ნახევარფინალისტები დასრულებამდე მალევე გაირკვა – ბარსელონამ და თორნიკე შენგელიას ბასკონიამ 1-2 ადგილები დაიბევეს. მე-2 ჯგუფში კი დიდი დაძაბულობა იყო და ბოლო ტურის წინ ერთბაშად 5 გუნდს ჰქონდა ფლეი ოფის 2 საგზურის მოპოვების შანსი.

კანდიდატთა შორის იყვნენ ბექა ბურჯანაძის გრან კანარია და თად მაკფადენის ბურგოსი. ბურჯანაძის გუნდი რთული ამოცანის წინაშე იდგა, რადგან ბოლო მეტოქედ მასპინძელი და ჯგუფში პირველადგილოსანი ვალენსია ჰყავდა. კუნძულელებმა იბრძოლეს, მაგრამ ფავორიტთან ვერაფერი გააწყვეს – 81:97.

ბურჯანაძე სათადარიგო იყო და მოედანზე 23 წუთი გამოჩნდა, რა დროშიც ქართველმა ფორვარდმა 11 ქულა და 2 მოხსნა მოაგროვა. ბექამ 5-დან 3 ორქულიანი, 2-დან 1 ორიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

ამ მატჩის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ვალენსია ნახევარფინალში გავიდა, გრან კანარია კი ჯგუფში ჩარჩა. შედეგად, ბურგოსს ფლეი ოფში გასასვლელად ანდორას დამარცხება მართებდა, რაც სანპაბლოელებმა გმირულ ბრძოლაში მოახერხეს. ბოლო პერიოდის წინ ანდორელები 10 ქულით იგებდნენ, თუმცა დასკვნითი ათწუთეული ბურგოსმა აღმავლობით ჩაატარა და საბოლოოდ 88:86 იმარჯვა.

მაკფადენი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, თუმცა მოედანზე 26 წუთით გამოჩნდა და თავი 13 ქულას, 2 პასს, 2 ჩაჭრას და 1 მოხსნას მოუყარა. ქართულპასპორტიანმა ამერიკელმა 4-დან 3 ორქულიანი, 5-დან 4 საჯარიმო და 6-დან 1 სამიანი ჩააგდო.

მართალია, ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩს თამაშობდა მადრიდის რეალი, მაგრამ შეხვედრის შედეგს მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ბურგოსელებს სამეფო კლუბი მეორე ტურში ჰყავდათ დამარცხებული და თანაბარქულიანობის შემთხვევაში მას პირადი მოგებით სჯობდნენ.

ასე და ამგვარად: ესპანეთის ჩემპიონატის ერთ ნახევარფინალში ბარსელონა მაკფადენის ბურგოსს დაუპირისპირდება, ხოლო თორნიკე შენგელიას ბასკონია ფინალური ფაზის მასპინძელ ვალენსიას შეერკინება.

სანამ გუნდები ნახევარფინალებს ითამაშებენ, მანამდე გიორგი შერმადინი ესპანური ლიგის საუკეთესო ცენტრი გახდა.

ტენერიფეს ქართველმა ლეგიონერმა სეზონის საუკეთესო ხუთეულში ცენტრის ადგილი დაიკავა, დანარჩენი პოზიციები კი ფაკუნდო კამპაცომ (რეალი, გამთამაშებელი), კლემენ პრეპელიჩმა (ხუვენტუდი, მსროლელი), ალექს ბუტილმა (უნიკახა, ფრთა) და ნიკოლა მიროტიჩმა (ბარსელონა, ფორვარდი) შეავსეს.

აღსანიშნავია, რომ შერმადინმა უკვე მეორედ მოიპოვა ესპანური ლიგის საუკეთესო ხუთეულში ადგილი. ეს მან პირველად 2016-17 წლების სეზონში მოახერხა, როდესაც ანდორაში თამაშობდა.

საუკეთესო ხუთეული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომელშიც გულშემატკივრები, ჟურნალისტები და თავად კალათბურთელები მონაწილეობდნენ. ყველა მოთამაშე 3 პოზიციად იყო დაყოფილი: გამთამაშებლები, მსუბუქი ფორვარდები და მძიმე ფორვარდები. გამთამაშებლებიდან ხუთეულში მხოლოდ საუკეთესო (კამპაცო) მოხვდა, ხოლო დანარჩენი პოზიციებიდან სიმბოლურში 2-2 მოწინავე შევიდა.

კამპაცომ მარსელინიო ჰუერტასს აჯობა, პრეპელიჩმა და ბუტილმა კი, ადამ ჯანგასა და ალბერტო აბალდეს გადაასწრეს. რაც შეეხება მძიმე ფორვარდებს, მიროტიჩმა და შერმადინმა გამოკითხვაში თორნიკე შენგელიას და ვალტერ ტავარეშს აჯობეს. შერმადინმა 55 პროცენტი მიიღო, შენგელიამ – 40.

შესაბამისად, თორნიკე შენგელია ესპანური ლიგის მეორე ხუთეულში შევიდა. თორნიკესთან ერთად ხუთეულში ადგილები დაიკავეს: მარსელიონიო ჰუერტასიმ (ტენერიფე), ალბერტო აბალდემ (ვალენსია), ადამ ჰანგამ (ბარსელონა) და ვალტერ ტავარეშიმ (რეალი).

ხუთეულებთან ერთად, ცხადია, გამოვლინდა სეზონის საუკეთესო მოთამაშეც, რომელიც ბარსელონელი ნიკოლა მიროტიჩი გახდა.

**გიორგი შერმადინი:**

– ესპანური ლიგის საუკეთესო ხუთეულში მოხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევაა როგორც ჩემთვის, ისე ყველა ამ ტიტულის მფლობელისთვის. აღნიშნული გამოკითხვის შესახებ ყველამ იცოდა და მოთამაშეები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ საუკეთესოთა შორის იმსახურებდნენ ადგილს, მოუთმენლად ელოდნენ შედეგების გამოქვეყნებას. დღეს, დილას გავრცელდა ინფორმაცია, რომ გამოკითხვის შედეგად ლიგის მვპ, სიმბოლური პირველი და მეორე ხუთეულები გამოვლინდნენ. ძალიან გასახარია, რომ ორივე ხუთეულში ქართველები მოვხვდით, რასაც ყველა ჩვენს ქომაგს, ქართველს თუ არაქართველს, გულითადად ვულოცავ. თორნიკე შენგელიას ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა და ის პირველ ხუთეულში მოხვედრას იმსახურებდა. მოხარული ვარ, რომ ეს ტიტული მეორედ მოვიგე. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ კორონავირუსის შემდეგ განახლებული ფინალური ფაზის თამაშებში ვერ ვიყოჩაღეთ. ტენერიფემ საწყისი 2 მატჩი წააგო და ნახევარფინალში გასვლის შანსი დაკარგა. სამაგიეროდ, ნახევარფინალშია თორნიკე შენგელიას ბასკონია, რომელიც ვალენსიას ხვდება და, იმედი მაქვს, ფინალში გასვლასაც მოახერხებს.

შენგელიამ მიმდინარე სეზონში ესპანეთის რეგულარულში ჩემპიონატის 23 მატჩში მიიღო მონაწილეობა და მისი საშუალო მაჩვენებლები ასე გამოიყურება: 33 წუთი, 16.6 ქულა, 6.3 მოხსნა, 2.7 პასი, 1.4 ჩაჭრა, 0.3 დაფარება, ხოლო სარგებლიანობის კოეფიციენტი – 19.6.

თავის მხრივ, 22 მატჩში შემდეგი საშუალო მაჩვენებლები აქვს შერმადინს: 27 წუთი, 18.3 ქულა, 7.1 მოხსნა, 1.5 პასი, 0.6 ჩაჭრა, 0.5 დაფარება, სარგებლიანობის კოეფიციენტი – 23.7.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

კალეიდოსკოპი

# ავსტრალიის სანაპიროსთან უიშვიათესი თეთრი ვეშაპი შენიშნეს



მეცნიერებმა ავსტრალიის სანაპიროსთან უიშვიათესი კუზიანი ვეშაპი-ალბინოსი შენიშნეს.

ინსტაგრამ-აკაუნტში, რომელიც უიშვათესი თეთრი ვეშაპის, სახელად მიგალუს ცხოვრებას ეძღვნება, გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის სანაპიროსთან სრულიად თეთრი ფერის ზღვის ძუძუმწოვარი ცხოველი შენიშნეს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ის ლეგენდარული მიგალუა.

პირველად ეს თეთრი ვეშაპი 1991 წელს აღმოაჩინეს. მან სახელი თავისი უჩვეულო გარეგნობით გაითქვა: სხვა კუზიანი ვეშაპებისგან განსხვავებით, ის სრულიად თეთრი ფერისაა. 50-წლიანი კვლევის მანძილზე მეცნიერებმა მიგალუს გარდა სულ სამი თეთრი ფერის კუზიანი ვეშაპი აღმოაჩინეს. ისინი თვლიან, რომ ყველა მათგანი ალბინოსია.

– ვეშაპი ალბინოსის დანახვა თივის ზვინში ნემსის პოვნას ჰგავს. ასეთი ანომალია 40 ათასიდან ერთხელ ხდება. მიგალუ მხოლოდ ერთხელ ვნახე მთელი ჩემი კარიერის მანძილზე, – განაცხადა ზღვის ბიოლოგმა ვანესა პიროტამ. ახლა მეცნიერები ცდილობენ გაარკვიონ, მათ მიგალუ ნახეს თუ სულ სხვა ალბინოსი ვეშაპი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

კალეიდოსკოპი

# პაციენტი მოურჩენელი იმპოტენციის გამო ექიმს დანით თავს დაესხა



ჩინეთის ხენანის პროვინციის ქალაქ ჩჟენჩჟოუს მკვიდრი ექიმს იმის გამო დაესხა თავს და დაჭრა, რომ მან მისი იმპოტენციის განკურნება ვერ შეძლო.

2019 წლის ნოემბერში პაციენტმა გვარად ინმა დახმარებითვის 55 წლის უროლოგს, პროფესორ მენ ცინცზინს იმის გამო მიმართა, რომ მთელი რიგი სექსუალური პრობლემები აწუხებდა, მათ შორის ერექციული დისფუნქცია და სპერმის დაბალი გამომუშავება.

ინი რამდენჯერმე იმყოფებოდა მიღებაზე ცზინცზინთან. ექიმებმა მედდებს მისთვის ნემსის გაკეთება და ულტრაბგერითი გამოკვლევის ჩატარება დაავალა. უცნობია, მამაკაცს ჩაუტარდა თუ არა კიდევ რაიმე სახის მკურნალობა, მაგრამ მას შემდეგ საავადმყოფოში პაციენტის ან მისი ნათესავების მხრიდან რაიმე სახის საჩივარი არ მიუღიათ.

22 ივნისს, ორშაბათს ინი ისევ მივიდა საავადმყოფოში და ისე იქცეოდა. რომ თითქოსდა უბრალოდ ექიმთან მიღებაზე უნდოდა მოხვედრილიყო. ის ცზინცზინს დანით თავს დაესხა და სახის, კისრის და ხელის არეში 12 დარტყმა მიაყენა. პროფესორის დახმარება მეორე ექიმმა ლიუ იუნფეიმ სცადა და ისიც ხელის არეში დაიჭრა. მოგვიანებით შემთხვევის ადგილზე პოლიციელები მივიდნენ და თავდამსხმელი დააკავეს.

თავდასხმის შემდეგ ექიმ-უროლოგს სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში იქნა გადაყვანილი. სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს მის დაჭრილ კოლეგასაც. ორივე ექიმის მდგომარეობა სტაბილურია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# შედეგები

## 27 ივნისი

### ფეხბურთი

**ინგლისი. ასოციაციის თასი**

ნორვიჩი-მანჩესტერი ............... 1:2(დდ)

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-ვულვზი ....................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 31 | 28 | 2 | 1 | 70-21 | 86 |
| 2.სიტი | 31 | 20 | 3 | 8 | 77-33 | 63 |
| 3.ლესტერი | 31 | 16 | 7 | 8 | 59-29 | 55 |
| 4.ჩელსი | 31 | 16 | 6 | 9 | 55-41 | 54 |
| 5.ვულვზი | 32 | 13 | 13 | 6 | 45-34 | 52 |
| 6.მანჩესტერი | 31 | 13 | 10 | 8 | 48-31 | 49 |
| 7.ტოტენჰემი | 31 | 12 | 9 | 10 | 50-41 | 45 |
| 8.შეფილდი | 31 | 11 | 11 | 9 | 30-31 | 44 |
| 9.არსენალი | 31 | 10 | 13 | 8 | 43-41 | 43 |
| 10.კრ.პალასი | 31 | 11 | 9 | 11 | 28-36 | 42 |
| 11.ბარნლი | 31 | 12 | 6 | 13 | 35-45 | 42 |
| 12.ევერტონი | 31 | 11 | 8 | 12 | 38-46 | 41 |
| 13.ნიუკასლი | 31 | 10 | 9 | 12 | 29-42 | 39 |
| 14.საუთჰემპტონი | 31 | 11 | 4 | 16 | 38-54 | 37 |
| 15.ბრაიტონი | 31 | 7 | 12 | 12 | 34-41 | 33 |
| 16.უოტფორდი | 31 | 6 | 10 | 15 | 28-46 | 28 |
| 17.ვესტ ჰემი | 31 | 7 | 6 | 18 | 35-54 | 27 |
| 18.ბორნმუთი | 31 | 7 | 6 | 18 | 29-50 | 27 |
| 19.ასტონ ვილა | 32 | 7 | 6 | 19 | 36-60 | 27 |
| 20.ნორვიჩი | 31 | 5 | 6 | 20 | 25-56 | 21 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

პრესტონი-კარდიფი ......................... 1:3
სუონსი-ლუთონი .............................. 0:1
ჩარლტონი-ქპრ ................................ 1:0
ბარნსლი-მილუოლი .......................... 0:0
დერბი-რედინგი ............................... 2:1
ბირმინგემი-ჰალი ............................. 3:3
ლიფდი-ფულემი .............................. 3:0
სტოკი-მიდლსბრო ............................ 0:2
უიგანი-ბლექბერნი .......................... 2:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-პადერბორნი ................ 3:2
აუგსბურგი-ლაიფციგი .................. 1:2
ლევერკუზენი-მაინცი .................... 1:0
დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი ............... 0:4
გლადბახი-ჰერტა .......................... 2:1
ვერდერი-კიოლნი .......................... 6:1
ვოლფსბურგი-ბაიერნი ................... 0:4
უნიონი-ფორტუნა .......................... 3:0
ფრაიბურგი-შალკე ........................ 4:0

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 34 | 26 | 4 | 4 | 100-32 | 82 |
| 2.დორტმუნდი | 34 | 21 | 6 | 7 | 84-41 | 69 |
| 3.ლაიფციგი | 34 | 18 | 12 | 4 | 81-37 | 66 |
| 4.გლადბახი | 34 | 20 | 5 | 9 | 66-40 | 65 |
| 5.ლევერკუზენი | 34 | 19 | 6 | 9 | 61-44 | 63 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 34 | 15 | 7 | 12 | 53-53 | 52 |
| 7.ვოლფსბურგი | 34 | 13 | 10 | 11 | 48-46 | 49 |
| 8.ფრაიბურგი | 34 | 13 | 9 | 12 | 48-47 | 48 |
| 9.აინტრახტი | 34 | 13 | 6 | 15 | 59-60 | 45 |
| 10.ჰერტა | 34 | 11 | 8 | 15 | 48-59 | 41 |
| 11.უნიონი | 34 | 12 | 5 | 17 | 41-58 | 41 |
| 12.შალკე | 34 | 9 | 12 | 13 | 38-58 | 39 |
| 13.მაინცი | 34 | 11 | 4 | 19 | 44-65 | 37 |
| 14.კიოლნი | 34 | 10 | 6 | 18 | 51-69 | 36 |
| 15.აუგსბურგი | 34 | 9 | 9 | 16 | 45-63 | 36 |
| 16.ვერდერი | 34 | 8 | 7 | 19 | 42-69 | 31 |
| 17.ფორტუნა | 34 | 6 | 12 | 16 | 36-67 | 30 |
| 18.პადერბორნი | 34 | 4 | 8 | 22 | 37-74 | 20 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბილბაო-მალიორკა ........................ 3:1
სელტა-ბარსელონა ........................ 2:2
ოსასუნა-ლეგანესი ........................ 2:1
ატლეტიკო-ალავესი ........................ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 32 | 21 | 6 | 5 | 72-33 | 69 |
| 2.რეალი | 31 | 20 | 8 | 3 | 59-21 | 68 |
| 3.ატლეტიკო | 32 | 15 | 13 | 4 | 41-23 | 58 |
| 4.სევილია | 32 | 14 | 12 | 6 | 45-33 | 54 |
| 5.ხეტაფე | 31 | 13 | 10 | 8 | 40-29 | 49 |
| 6.ვილიარეალი | 31 | 14 | 6 | 11 | 49-40 | 48 |
| 7.სოსიედადი | 31 | 14 | 5 | 12 | 47-39 | 47 |
| 8.ვალენსია | 31 | 12 | 10 | 9 | 41-44 | 46 |
| 9.ბილბაო | 32 | 11 | 12 | 9 | 36-28 | 45 |
| 10.გრანადა | 31 | 12 | 7 | 12 | 37-36 | 43 |
| 11.ოსასუნა | 32 | 10 | 11 | 11 | 38-47 | 41 |
| 12.ლევანტე | 31 | 11 | 5 | 15 | 37-44 | 38 |
| 13.ბეტისი | 31 | 9 | 10 | 12 | 41-48 | 37 |
| 14.ალავესი | 32 | 9 | 8 | 15 | 32-48 | 35 |
| 15.ვალიადოლიდი | 32 | 7 | 14 | 11 | 27-37 | 35 |
| 16.სელტა | 32 | 7 | 13 | 12 | 31-37 | 34 |
| 17.ეიბარი | 31 | 8 | 8 | 15 | 32-47 | 32 |
| 18.მალიორკა | 32 | 7 | 5 | 20 | 30-55 | 26 |
| 19.ლეგანესი | 32 | 5 | 10 | 17 | 24-46 | 25 |
| 20.ესპანიოლი | 31 | 5 | 9 | 17 | 26-50 | 24 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

დეპორტივო-პონფერადინა ............. 2:1
კადისი-ტენერიფე .......................... 0:2
ლას პალმასი-ელჩე ........................ 1:1
რასინგი-ალბასეტე ........................ 1:2

**იტალია. სერია ა**

ბრეშა-ჯენოა ................................. 2:2
კალიარი-ტორინო .......................... 4:2
ლაციო-ფიორენტინა ....................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 28 | 22 | 3 | 3 | 56-24 | 69 |
| 2.ლაციო | 28 | 20 | 5 | 3 | 64-27 | 65 |
| 3.ინტერი | 27 | 17 | 7 | 3 | 54-28 | 58 |
| 4.ატალანტა | 27 | 16 | 6 | 5 | 77-37 | 54 |
| 5.რომა | 27 | 14 | 6 | 7 | 53-36 | 48 |
| 6.ნაპოლი | 27 | 12 | 6 | 9 | 43-36 | 42 |
| 7.პარმა | 27 | 11 | 6 | 10 | 37-33 | 39 |
| 8.მილანი | 27 | 11 | 6 | 10 | 32-35 | 39 |
| 9.კალიარი | 28 | 10 | 8 | 10 | 47-44 | 38 |
| 10.ვერონა | 27 | 10 | 8 | 9 | 31-29 | 38 |
| 11.ბოლონია | 27 | 9 | 7 | 11 | 38-44 | 34 |
| 12.სასუოლო | 27 | 9 | 6 | 12 | 45-46 | 33 |
| 13.ფიორენტინა | 28 | 7 | 10 | 11 | 34-39 | 31 |
| 14.ტორინო | 28 | 9 | 4 | 15 | 32-50 | 31 |
| 15.უდინეზე | 27 | 7 | 7 | 13 | 21-38 | 28 |
| 16.სამპდორია | 27 | 7 | 5 | 15 | 30-48 | 26 |
| 17.ჯენოა | 28 | 6 | 8 | 14 | 34-53 | 26 |
| 18.ლეჩე | 28 | 6 | 7 | 15 | 35-64 | 25 |
| 19.სპალი | 27 | 5 | 3 | 19 | 20-45 | 18 |
| 20.ბრეშა | 28 | 4 | 6 | 18 | 25-52 | 18 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

სპარტაკი-უფა ................................. 0:0
რუბინი-ლოკომოტივი ..................... 0:2
დინამო-ცსკა ................................... 0:0
როსტოვი-არსენალი ........................ 2:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-სერვეტი ......................... 2:2
იანგ ბოიზი-ქსამაქსი ...................... 6:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-სტ.პოლენი ...................... 2:5
ტიროლი-ალტახი ............................ 0:1
მატერსბურგი-ადმირა ..................... 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოფი-პანათინაიკოსი ........................ 0:0
პანიონიოსი-ქსანთი ........................ 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ფენერბახჩე-მალათია ...................... 3:2
გიოზთეფე-ალანია .......................... 3:3
ტრაბზონი-ანკარაგიუჯიუ ................ 1:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ლიბერეცი-ბანიკი .......................... 2:1
ჩესკე-ბოლესლავი .......................... 0:2
ბოჰემიანსი 1905-სლოვაცკო ........... 2:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეგია-პიასტი ................................ 1:1
პლოცკი-ლოძი ............................... 2:0
გურნიკი-ვისლა .............................. 0:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

კოლოსი-ოლექსანდრია ................... 2:1
შახტარი-ზორია .............................. 0:0
კარპატი-ლვოვი ............................. 1:1

**დანია. სუპერლიგა**

სონდერიისკე-სილკებორგი ............. 1:0
ესტერსტუნდი-ნორჩიოპინგი .......... 2:4

**ნორვეგია. ელიტსერია**

სტარტი-ოდ გრელანდი ................... 0:5
ვალერენგა-ვიკინგი ....................... 2:1

## დერბი დინამომ მოიგო, ლიდერმა წაიფორხილა



**საბურთალო-დინამო (თბ) 0:3**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

0:1 კუცია (17), 0:2 კაპანაძე (50), 0:3 ბულრიძე (54)

**საბურთალო:** კუპატაძე, მალი, მარგველაშვილი, ლაკვეხელიანი, კაკუბავა, ნონიკაშვილი (გულიაშვილი 61), ტერა (ცნობილაძე 46), ალთუნაშვილი, ტაბატაძე, კოხრეიძე (მაჭარაშვილი 69), ქავთარაძე

**დინამო:** კვასხვაძე, ლოჩოშვილი, კობოური, ქიმაძე, მექვაბიშვილი (ქარდავა 71), ტრუბოჩკინი, პაპავა, პერნამბუკო (დაფე 85), კუცია, ბულრიძე (აზაროვი 75), კაპანაძე

**გაძევება:** ლაკვეხელიანი (87)

ეროვნული ლიგის გათამაშება პანდემიით გამოწვეული პაუზის შემდეგ მესამე ტურის ცენტრალური მატჩით, თბილისური დერბით განახლდა, სადაც საქართველოს გასული სეზონის ჩემპიონმა ნომინალური მასპინძელი საბურთალო დამაჯერებლად დაამარცხა.

თბილისური დერბი, საბურთალოს ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა ფეხბურთელის – გიორგი შაქარაშვილის ხსოვნის პატივსაცემად წუთიერი დუმილით დაიწყო.

განახლებული სეზონის პირველი გოლი კი მე-17 წუთზე გიორგი კუციამ შესანიშნავი საჯარიმო დარტყმით გაიტანა. ამის შემდეგ დინამოელთა უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. კახაბერ ჩხეტიანის გუნდმა ორამდე უპირატესობა მატჩის 50-ე წუთზე თორნიკე კაპანაძის მიერ გატანილი გოლით გაზარდა.

ზუსტად 4 წუთში, სტუმრებმა კიდევ ერთხელ აიღეს ლაზარე კუპატაძის კარი. ამჯერად თავი ირაკლი ბულრიძემ გამოიჩინა, რომელიც მთელი მატჩის მანძილზე აქტიური იყო.

დინამომ დამსახურებულად გაიმარჯვა. მთელი მატჩის განმავლობაში სოლიდურ უპირატესობას ფლობდა. საბურთალო კი, გასაკვირად უსუსურად გამოიყურებოდა. გუნდში სასწრაფოდ შესაცვლელია სიტუაცია, თორემ ასეთი თამაშით ევროთასებზე გაუჭირდება.

**დინამო (ბთ)-თელავი 1:1**

**ბათუმი. ანგისა**

1:0 ფლამარიონი (1), 1:1 კოხრეიძე (53)

**დინამო:** ალავიძე, გეგეჭკორი, კობახიძე, ნავალოვსკი, ობოაბონა, ცინცაძე (ტეიდი 79), გაფრინდაშვილი (მანჯგალაძე 46), ჯიღაური, მამუჩაშვილი, ფლამარიონი, დვალიშვილი (ნიქაბაძე 63)

**თელავი:** გოშაძე, თოლორდავა, ბერიაშვილი, ჩუკვურა, ძოწენიძე, ჩაბრაძე, მ.ბაშალეიშვილი, რუხაძე (ნ.ბაშალეიშვილი 86), მოსიაშვილი (ვარშანიძე 75), კოხრეიძე, კვასოვი (სამუშია 60)

მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა გათამაშების ერთ-ერთმა ფავორიტმა – ბათუმის დინამომ საკუთარ მოედანზე დებიუტანტი თელავი ვერ დაამარცხა. ზღვისპირელებმაც და კახელებმაც ეროვნულ ლიგაში ზედიზედ მესამე ფრე დააფიქსირეს.

არადა, გია გეგუჩაძის გუნდმა თამაში დამაჯერებლად დაიწყო და უკვე პირველივე წუთზე ჯოვინო ფლამარიონის გოლით ანგარიშიც გახსნა. თუმცა, სტუმრებმა მატჩში გარდატეხის შეტანა მაინც შეძლეს. თელაველებმა საპასუხო გოლი მასპინძლებს 53-ე წუთზე გაუტანეს. მიხეილ ალავიძის კარი ლაშა კოხრეიძემ აიღო და გუნდს მნიშვნელოვანი ქულა მოუტანა.

**ლოკომოტივი-მერანი 1:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

0:1 დეისაძე (59), 1:1 შონია (76)

**ლოკომოტივი:** შეროზია, გურეშიძე, ჭანტურია, გაბაძე, უბილავა, დარცმელია, შონია, სამურკასოვი (ინჯგია 77), დ.კირკიტაძე (თ.კირკიტაძე 77), კობახიძე (გავაშელიშვილი 84), სიხარულიძე

**მერანი:** თევდორაძე, გაფრინდაშვილი, ფოფხაძე, თევზაძე, ვასაძე, კახელიშვილი, მახარობლიძე (გაბისკირია 64), გეწაძე (ფიფია 82), დათუნაიშვილი, სარდალიშვილი (გოგოლაშვილი 53), დეისაძე

სოსო ფრუიძის გუნდი აღნიშნულ შეხვედრაში ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ თამაშის მიმდინარეობისას სტატუსი ვერ გაამართლა. მატჩის პირველ ნახევარში მერანის ფეხბურთელები მასპინძლებს სერიოზულ უხერხულობას უქმნიდნენ და ერთადერთი რეალური საგოლე მომენტიც მათ შექმნეს.

მე-2 ტაიმის საწყის წუთებში მერანის უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა და მე-60 წუთზე გიორგი დარასელიას გუნდმა ანგარიშიც ლოგიკურად გახსნა – ლუკა შეროზიას კარი იაგო დეისაძემ აიღო.

გაშვებული გოლის შემდეგ ლოკომოტივი უფრო გააქტიურდა და 76-ე წუთზე ანგარიში თეიმურაზ შონიას გოლით გაათანაბრა. მატჩის ბოლო წუთზე სტუმრებს თამაშის მოგების კარგი შანსი მიეცათ – ბექა გაბისკირიას დარტყმული ძელს მოხვდა.

საბოლოოდ შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა და გუნდებმა ქულები გაიყვეს.

**დილა-სამტრედია 1:1**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

0:1 დისი (15), 1:1 კოვტალიუკი (27პ)

**დილა:** გუგეშაშვილი, გიორბელიძე, ხურცილავა, მაისაშვილი, ჩიტეიშვილი, ეტოუ, მარკოზაშვილი, გაგნიძე, ბიძინაშვილი, სპანდერაშვილი (ლექვთაძე 75), კოვტალიუკი

**სამტრედია:** სეფიაშვილი, კილასონია, ახალაძე, ინკუმი, კვირკვია (ლუკავა 83), ყურბანოვი (ილურიძე 71), მესიაჩენკო, დისი, ჰავიშიჩი (ქოჩლაძე 52), სამბუ, იმნაძე

თენგიზ ბურჯანაძის სტადიონზე გამართულ შეხვედრაში გორის დილამ მხოლოდ ქულის მოპოვება მოახერხა. სამტრედიასთან ჩატარებული დაპირისპირება ფრედ 1:1 დასრულდა.

მასპინძლებმა მე-15 წუთში საკუთარ კარში გოლი გამოიგონეს: დავით ხურცილავამ ბურთი ცუდად დაუბრუნა მეკარეს და ლუკა გუგეშაშვილის კარი დიეგო დისიმ აიღო.

გიორგი ნემსაძის შეგირდებმა წონასწორობა მალევე აღადგინეს: 27-ე წუთზე მატჩის მთავარმა არბიტრმა სამტრედიის კარის მიმართულებით თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც მიკოლა კოვტალიუკმა ზუსტად შეასრულა.

დაპირისპირების სცენარიდან გამომდინარე, ეს გოლი ბოლო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ დარჩენილ დროში ანგარიშში არაფერი შეცვლილა. არადა, სტუმრები კოვტალიუკის დარტყმის შემდეგ გადარჩნენ – ბურთი ძელს მოხვდა.

ტურის ბოლო მატჩი ქუთაისში გაიმართება – იმერულ დერბიში ტორპედო „რამაზ შენგელიაზე“ საჩხერის ჩიხურას დაუხვდება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლოკომოტივი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 2.დინამო (თბ) | 3 | 1 | 2 | 0 | 4-1 | 5 |
| 3.დილა | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| 4.სამტრედია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 5.საბურთალო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 6.დინამო (ბთ) | 3 | 0 | 3 | 0 | 2-2 | 3 |
| 7.თელავი | 3 | 0 | 3 | 0 | 2-2 | 3 |
| 8.მერანი | 3 | 0 | 3 | 0 | 1-1 | 3 |
| 9.ჩიხურა | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| 10.ტორპედო | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## კალეიდოსკოპი

### მანქანაში შემძვრალმა გველმა ქალი მძღოლი ისტერიკაში ჩააგდო

ამერიკის მისურის შტატის ქალაქ იურიკისკენ მიმავალ გზაზე მგზავრობის დროს ქალი შოკში აღმოჩნდა, როდესაც თავის ფეხებთან გველი შენიშნა.

ქალაქ იურიკის პოლიციის განყოფილების წარმომადგენლებმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე დაწერეს, რომ მათ დახმარებისთვის ქალმა მიმართა, რომელმაც შუა გზაზე აღმოაჩინა, რომ მის ავტომობილში გველი იმყოფებოდა. მძღოლ ქალს ისტერიკა დაეწყო და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები შემთხვევის ადგილისკენ გაეშურნენ.

პოლიციელებმა მანქანა გზის სავალი ნაწილიდან გადაიყვანეს. მათ გადაწყვიტეს, რომ დალოდებოდნენ, სანამ ქვეწარმავალი ავტომობილს თავისით, მშვიდობიანად დატოვებდა, ვინაიდან არ იცოდნენ, თუ რომელ სახეობას განეკუთვნებოდა რეპტილია და, შესაბამისად, ვერ დაადგინეს, შხამიანი იყო თუ არა გველი. ბოლოს და ბოლოს გველმა მანქანა დატოვა, ხოლო ადგილობრივები პოლიციელებს მისთვის უფრო შესაფერის ადგილზე გადაყვანაში დაეხმარნენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ღვთის სადიდებელი შეძახილი ქრისტიანულ მღვდელთმსახურებაში; 2. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 3. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 4. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 5. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 6. ინგლისელი ქართველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის" პროზაულად მთარგმნელი; 11. ტოტებ ჩამოშვებული ტირიფი; 13. უნგრელთა მეორე სახელწოდება; 14. კლიმატური კურორტი დუშეთის რაიონში; 15. მანძილის საზომი ერთეული ზღვაოსნობაში; 17. ყაზახეთის დედაქალაქი; 18. კროსვორდის გამომგონებელი; 19. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე მონასტერი.

**თარაზულად:** 7. აეროპორტი ქაიროში; 8. ქველმოქმედი, კაცთმოყვარე ადამიანი; 9. ინგლისური ფარმაცევტული კომპანია; 10. ძალიან იშვიათი ნივთი; 12. უმაღლესი განათლების მქონე წამალთმცოდნე; 14. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 16. ყოველდღიური გაზეთი ინგლისში; 18. ქიმიური ელემენტების ნაერთი ჟანგბადთან და ჟანგეულებთან; 20. აზროვნების ორგანო; 21. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 22. ქართველი დრამატურგი, სცენარისტი, რეჟისორი, მარიონეტების თეატრის ფუძემდებელი; 23. სამკურნალო მცენარე; 24. სითხის, აირის წნევის საზომი ხელსაწყო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბიშკეკი; 2. ქაშანური; 3. ყარაია; 4. ზესხო; 5. დინასტია; 8. მაყრიონი; 12. შალე; 13. ენდშპილი; 14. დიდუბე; 16. სიმინდი; 18. ბორდო; 20. ტუში.

**თარაზულად:** 6. ჩიხირთმა; 7. სკალდები; 8. მითანა; 9. მედეა; 10. მუკუზანი; 11. პრიშტინა; 15. ინსინუაცია; 17. ბენტლი; 19. ბაქტრიანი; 21. დიადორა; 22. მიკოლოგია; 23. კიშლაკი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტემპერა; 2. ურეკი; 3. პურიტანი; 4. იდიოტი; 5. პლანერი; 6. შავთელი; 11. ფრეზა; 13. ასტურია; 14. იონოსფერო; 15. დეპორტივო; 17. ამპერი; 18. პარანა; 19. ნეტო.

**თარაზულად:** 7. ცეზურა; 8. ბუნდესლიგა; 9. ოპტიკა; 10. ნიკოტინი; 12. კატამარანი; 14. ისინდი; 16. შარტრეზი; 18. პენელოპა; 20. პრესა; 21. ერა; 22. ბერიკები; 23. ალია; 24. ჩოხატაური.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


29 ივნისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0556

ევრო — 3.4317

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.7920

100 რუსული რუბლი — 4.4060

## ამინდის პროგნოზი 29 ივნისისათვის




## ილონ მასკმა ლოს-ანჯელესში სახლი გაყიდა



ცნობილმა ამერიკელმა მეწარმემ ილონ მასკმა კალიფორნიის შტატის ქალაქ ლოს-ანჯელესში მდებარე საკუთარი სახლი 29 მილიონ დოლარად გაყიდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამერიკელ მილიარდერს გაყიდულის გარდა კიდევ რვა სახლი აქვს საკუთრებაში.

ლოს-ანჯელესში მდებარე სახლი გასაყიდად მაისში იქნა გამოტანილი. მასკმა ის 2012 წელს 17 მილიონ დოლარად შეიძინა ფონდ Canyon Capital-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის მიტჩელ ჯულისგან. 29 მილიონად გაყიდულ მამულს ასევე აქვს საკუთარი ჩოგბურთის მოედანი, აუზი და ხილის ბაღი. სახლის ფანჯრებიდან ოკეანის ხედი იშლება. აღსანიშნავია, რომ ლოს-ანჯელესის ამავე რაიონშია განლაგებული უძრავი ქონების კიდევ ხუთი ობიექტი, რომელიც Tesla-ს და SpaceX-ს დამფუძნებელს ეკუთვნის.

## ბელა ჰადიდი პოპულარული ბრენდის რეკლამაში გადაიღეს




ამერიკელმა სუპერმოდელმა ბელა ჰადიდმა, რომელიც მსოფლიოს ყველაზე ლამაზ ქალად იქნა აღიარებული, პოპულარული მოდის ბრენდის Calvin Klein-ის ზაფხულის ახალი კოლექციის სარეკლამო კომპანიაში მიიღო მონაწილეობა. ფოტოსურათები ინსტაგრამში გოგონას გვერდზე იქნა გამოქვეყნებული.

ერთ-ერთ ფოტოზე მოდელი თეთრ ფონზე Calvin Klein-ის ლოგოტიპიან შავი ფერის საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი პოზირებს, მაღლა ხელებაწეული. საცურაო კოსტიუმი ღრმა დეკოლტეთია დამშვენებული. მეორე სურათზე 23 წლის ჰადიდი აუზში ცურვის დროს ნეონ-მწვანე ფერის ბრეტელებიან ტოპ-ბანდოში გამოწყობილია აღბეჭდილი.

## საცვლებში გამოწყობილმა კენდალ ჯენერმა კოსმეტიკის რეკლამაში მიიღო მონაწილეობა



ამერიკელმა სუპერმოდელმა კენდალ ჯენერმა, რომელიც ტელეწამყვანმა პირს მორგანმა კარდაშიანების ოჯახის ერთადერთ ლამაზმანად დაასახელა, თავისი უმცროსი დის კაილის კოსმეტიკური ბრენდის Kylie Cosmetics-ს სარეკლამო კამპანიაში მიიღო მონაწილეობა. ფოტოსურათები ინსტაგრამში მისი ავტორის გვერდზე იქნა გამოქვეყნებული.

გამოქვეყნებულ კადრებში მოდელი წითელ დივანზე წამოწოლილია აღბეჭდილი, ფოტოგრაფისკენ გვერდულად. ფეხებზე სილიკონის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი აცვია. ტანზე კი მას ჩალიფერი Vera Wang-ის ბრენდის საცვლების კომპლექტი აცვია: ბიუსჰალტერი და სანახევროდ ჩახსნილი კორსეტი, რომელშიც თეძო მოუჩანს. კენდელს თმების ტალღისებური ვარცხნილობა აქვს, სახეზე კი მაკიაჟი უკეთია.

ფოტოსურათების ავტორია ახალგაზრდა ფოტოგრაფი გრეგ სუეილსი. მოდელის სტილისტია დანი მიშელი, ხოლო ვიზაჟისტი — მერი ფილიპსი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 29 ივნისისათვის



**ვერძი** — ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** — ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** — მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** — თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** — შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** — ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** — იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ღრიანკალი** — დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** — თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** — კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** — გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** — სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— იცი, წუხელის მესიზმრა, რომ მთელი ღამე ველოსიპედით ვსეირნობდი. და შენ რა დაგესიზმრა?

— მთელი ღამე სექსით ვიყავი დაკავებული.

— ჩემთან?

— არა, შენ ხომ ველოსიპედით სეირნობდი!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— ძვირფასო, დღეს შენი საყვარელი ვნახე...

— ???

— იცი, შენ მოღალატე კი არა, გმირი ხარ!

●●●

ექიმი პაციენტს ეუბნება:

— დღეში სამჯერ უნდა დალიოთ.

— კარგით, და წამალი?

— და წამალი რა შუაშია?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— რატომ იძახიან მომღერლები კონცერტის დროს: „ხელები მაღლა ასწიეთ, თქვენ ხელებს ვერ ვხედავთ“?

— იმიტომ, რომ ჯიბის ქურდებთან არიან გარიგებულები.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნიანგმა მეთევზე ცოლის თვალწინ შეჭამა

ინდოეთის დასავლეთ ბენგალიის შტატის პატარ პრატიმას ოლქში ნიანგმა მეთევზე მისი მეუღლის თვალწინ მდინარის სიღრმეში ჩაითრია და მოკლა.

ვიშნუპადა სანტრა მდინარეზე მეუღლესთან ერთად თევზაობდა. მოულოდნელად წყლიდან ნიანგმა ამოყვინთა, სანტრას პირი ფეხში სტაცა და წყალში ჩაითრია.

ქალი ქმარს ხელებში ჩააფრინდა და შეეცადა ნაპირზე ამოეთრია, მაგრამ ამისთვის ძალა არ ეყო. საბოლოოდ რეპტილიამ მამაკაცი წყალში ჩაითრია და ცოცხლად შეჭამა. შემთხვევის ადგილზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოიყარეს თავი და მომხდარის თაობაზე პოლიციას აცნობეს.



სამართლადამცავი ორგანოების თანამშრომლებმა მდინარე საგულდაგულოდ დაათვალიერეს, მაგრამ მამაკაცის სხეულს ვერ მიაგნეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ია ჩანტლაძე ტყუპების დედა გახდა



მომღერალი ია ჩანტლაძე ტყუპების დედა გახდა. მას და მის იტალიელ მეუღლეს ჯანკარლო მერკადანტეს ტყუპები — მია და ალესანდრო თბილისში შეეძინათ.

ინფორმაცია ბედნიერმა დედიკომ თავად გაავრცელა:

— სამყაროში ჩემთვის ყველაზე ტკბილი კრიმანჭული ააჟღერეს ჩემმა შვილებმა!

ბანს მე ვაძლევდი და ზუსტად ვიცი, რომ ასე გავივლით ერთად დარჩენილ ცხოვრებას!

ამ შეგრძნებისთვის ღირს ალბათ დაბადება!

## ქეთი დოლიძე: „რა თქვენი საქმეა, ვის ეხმარება ივანიშვილი?!“



რეჟისორი ქეთი დოლიძე ტელეკომპანია „ტვ პირველს“ აკრიტიკებს და მიაჩნია, რომ ამ ტელევიზიამ უზნეობაში „მთავარ არხს“ გაუსწრო:

— ტვ პირველი! „მთავარ არხს“ უსწრებს უზნეობაში!

რა თქვენი საქმეა, ვის ეხმარება ივანიშვილი?!

თქვენი ჯიბიდან იღებს, უმოწყალოებო?!

თქვენ რამდენ-რამდენი ათასი დაგინიშნათ პატრონებმა?!

ასე რომ, სუს!

და ზოგიერთი ჩემი კოლეგა რომ სისულელეებს ბჟუტურებს, კულტურის სამინისტრო მაძლევს დახმარებასო, ვის ატყუებს ნეტავ, ან ვინ ტყუვდება?!

კულტურის სამინისტროს ვინ აძლევს ამ დამატებით ფულს!

უსინდისოები! ვინ და ფონდი „ქართუ“! მორჩით და ენა ჩაიგდეთ!

## გიორგი გასვიანი ნარკოტიკებზე მკაცრ კონტროლს ითხოვს



მსახიობი და ტელეწამყვანი გიორგი გასვიანი საქართველოში ნარკოტიკებზე მკაცრ კონტროლს ითხოვს და საზოგადოების მოთხოვნას, 21 წლამდე აგარაკებზე თავშეყრის აკრძალვის თემას ეხმაურება:

— ვიდრე 21 წლამდე აკრძალავდეთ აგარაკებზე თავშეყრას, იქნებ 21 წლამდეც და მერეც ნარკოტიკებზე მკაცრი კონტროლი დაგვემყარებინა და ქვეყანაში ამ უბედურების დიდი დოზით შემოდინება უზრუნველვყოთ, რომ შეწყდეს!

დროა! თაობა იკარგება!

## მიხეილ ზაქარიაშვილი: „გაზარდეთ ადამიანის მოყვარული ბავშვები“



აცხადებს მომღერალი და კომპოზიტორი მიხეილ ზაქარიაშვილი და საზოგადოებას საჯარო განცხადებით მიმართავს:

— ოფიციალურად ვაცხადებ იმ ახალგაზრდების და მათი მშობლების გასაგონად — ვინც ჩემს შვილებს უსამართლოდ შეეხება და რაიმე ძალადობას ჩაიდენს მათ მიმართ და რომელიმე მათი მეგობარი ან ხელისუფლების წარმომადგენელი, ან ნებისმიერი ადვოკატიც დანაშაულის მონაწილის გამართლებას და დაცვას შეეცდება და დაფარავს დანაშაულს თავისი „გამჭრიახი გონებით“, ყველას გავანადგურებ მშობლების თვალწინ ისე, რომ არ დაველოდები არანაირ სამართალდამცავების გაწელილ გამოძიებას!

ეს იქნება პრეცედენტი იმისა, რომ ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ეს კუნთმაგარი, ხულიგანი ბაბულიკების მოძალადეობა წესიერ, განათლებულ ოჯახში გაზრდილ ბავშვებზე! არავის დავინდობ და ამას გავაკეთებ ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და სინდისის ქენჯნის გარეშე.

მიხედეთ და გაზარდეთ ადამიანის მოყვარული ბავშვები, მარტო ეკლესიაში მორწმუნე სიფათების მიღება, სანთლების დანთება და ფულის მოთხოვნა უფალთან არ გიშველით, შე..ცი მე თქვენს ფულებს და პოლიტიკურ მოღვაწეობას! დავიღალე შიშით ცხოვრებისგან ბავშვების ყოველ სათამაშოდ გასვლაზე... რადგან დახვრეტა გაუქმებულია და სამართალდამცავები ვერ ახერხებენ ჩვენი შვილების დაცვას, მე ავასრულებ ამ კანონს! სულ ფეხებზე მკიდია მოძალადედ ჩამთვლის ვინმე თუ რად!

მოგიკლავენ სიმწრით, ვალებით, შრომა-წვალებით გაზრდილ შვილებს, მერე ჩაჯდებიან ბაბულიკების შვილები ციხეში, ბლატაობენ, რა მაგარი ბიჭები არიან და მიდის „პერედაჩების“ გადაცემა-გადმოცემა და ჩალიჩი „სროკის“ განახევრებაზე ყოველი მთავრობის შეცვლის მერე!

ჩემი შვილების გასაგონადაც ვამბობ და ვაფრთხილებ, თუ ასეთ რამეს ჩაიდენთ, ჩემი იმედი ნუ გექნებათ და მეტიც — არ დაველოდები გამოძიებას, ჩემი ხელით დაგხოცავთ ორივეს! თქვენ მაინც კარგად იცით, რომ ამის გაკეთება შემიძლია თუ გადამეკეტა უსამართლობის გამო ჭკუა, იცით, რომ არ დაგინდობთ! მხოლოდ ერთ შემთხვევაში გაგამართლებთ — თუ ვინმე მოკვლას დაგიპირებთ უსამართლოდ ან დაჩაგვრას. ადრე გეუბნებოდით, გამოეცალეთ ასეთებს-მეთქი, ახლა გეუბნებით — თავი არ მოაკვლევინოთ მამა ნაძირლებს. თავი დაიცავით ყველანაირი ხერხით! წერტილი...

სისხლი სისხლის წილ თუ მოგწონთ და მისაღებია ამ ქვეყანაში, მაშინ მიიღებთ ჩემგან და არავის მოვუწოდებ, იგივე გააკეთოს. გთხოვ, გევედრები, უფალო, ნუ ამკიდებ ამ დიდ ცოდვას ნურც მე და ნურც ნურავის.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მდინარე ნიუ იორკში; 2. ჩინური ნავთობკომპანია; 3. თანამედროვე ქართველი თეატრალური რეჟისორი; 4. თხრობითი ხასიათის პოეტური ქმნილება; 5. წრეხაზის ცენტრზე გამავალი ორი წერტილის შემაერთებელი სწორი ხაზის მონაკვეთი; 8. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 12. კატარის დედაქალაქი; 13. რაიონული ცენტრი კახეთში; 14. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 16. გულადი, ყოჩაღი მამაკაცის ძველებური სახელწოდება; 18. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 20. ინდოელ ქალთა ტანსაცმელი.

**თარაზულად:** 1. მოკარნახე თეატრში; 7. სპეციალური წესით შედგენილი სამუზეუმო ექსპონატების ჩამონათვალი; 8. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 10. მეცნიერული ნაშრომის მოკლე, წერილობითი შინაარსი; 11. ყოველდღიური გაზეთი ინგლისში; 15. შტატი აშშ-ში; 17. მოხეტიალე ცირკი; 19. სოხუმის ძველბერძნული სახელწოდება; 21. პატარა თევზსაჭერი გემი; 22. რაიონული ცენტრი გურიაში; 23. სიგელი, მოწმობა დამსახურებისთვის, წარმატებისთვის.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

